საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



7 აპრილი—ხარება ყოვლადწმიდისა ღვთისმშობელისა და მარადის ქალწულისა მარიამისა

ხარება ერთ-ერთი ქრისტიანული საუფლო დღესასწაულია და აღინიშნება 7 აპრილს. იგი უძრავია.

სახარების მიხედვით (ლუკა) გაბრიელ მთავარანგელოზმა ახარა მარიამ ღვთისმშობელს, რომ მისგან იშვებოდა ჲესო ქრისტე, ძე ღვთისა.

ხარების ტროპარი:

დღეს ცხოვრებისა ჩვენისა თავი არს და საუკუნოვან დაფარულისა მის საიდუმლოსა გამოცხადება, რამეთუ ძე ღვთისა ძედ ქალწულისა იქმნების და გაბრიელ ახარებს მადლსა მას, რომელსა ჩვენც ხმა მაღლად უღაღადებთ: გიხაროდენ მიმადლებულო, უფალი შენთანა.

ხურათზე: გაბრიელ მთავარანგელოზი ხარების კომპოზიციიდან. ატენი. XI ს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 55 (857) | ხუთშაბათი, 7 აპრილი, 1994 წელი | ფასი 3000 კუპონი

საქართველოს პარლამენტის

დადგენილება

„საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების შესახებ" დებულების თაობაზე

საქართველოს რესპუბლიკაში არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დაფუძნებისა და ფუნქციონირების მოწესრიგების მიზნით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს „საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების" დებულება" (თან ერთვის).
2. „საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დებულება" ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ 1994 წლის 1 მაისამდე საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს დასამტკიცებლად წარუდგინოს საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების საატესტაციო და სააკრედიტაციო კომისიის დებულება და შემადგენლობა.
4. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 14 ივნისის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ფასიანი სასწავლებლების შესახებ" (საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს უწყებები, 1991 წ. № 6, მუხ. 441).

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე

ვახტანგ რჩეულიშვილი.

თბილისი, 1994 წლის 17 მარტი.

დამტკიცებულია საქართველოს პარლამენტის 1994 წლის 17 მარტის დადგენილებით

საქართველოს რესპუბლიკის არასახელმწიფო საერო სასწავლებლების

დებულება

1. **საქართველოს** რესპუბლიკაში ნებადართულია არასახელმწიფო საერო სასწავლებლების დაფუძნება კვალიფიკაციის დამადასტურებელი სათანადო მოწმობის (დიპლომის, ატესტატის) გაცემის უფლებით.
2. არასახელმწიფო საერო სასწავლებლების გახსნის უფლება აქვთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.
3. არასახელმწიფო საერო სასწავლებლები რეგისტრირდება არსებული კანონმდებლობისა და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე.
4. ლიცენზიის მისაღებად აუცილებელია, რომ არასახელმწიფო საერო სასწავლებლების სასწავლო გეგმები, წესდება, პროგრამები, პედაგოგიური პერსონალის კვალიფიკაცია და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა აკმაყოფილებდეს სასწავლებლებისათვის სახელმწიფოს მიერ დადგენილ მოთხოვნებს.
5. არასახელმწიფო საერო სასწავლებლებს უფლება აქვთ:

ა) შეიმუშაონ სწავლების ორგანიზაციის ფორმები, მეთოდები, მოსწავლეთა (სტუდენტთა) მისაღები გამოცდების, მიღების, შემოწმების, შეფასებისა და წახალისების წესები;

ბ) განსაზღვრონ სასწავლებლის მართვის სტრუქტურა, შექმნან ან გააუქმონ დამხმარე სამეცნიერო და სამეურნეო დანაყოფები;

გ) დაამყარონ საქმიანი ურთიერთობა ნებისმიერ იურიდიულ და ფიზიკურ პირთან როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ;

დ) დააწესონ პედაგოგიური, სამეცნიერო და დამხმარე პერსონალისათვის ხელფასის ოდენობა ინდივიდუალური ხელშეკრულების საფუძველზე;

ე) გაიარონ სახელმწიფო აკრედიტაცია, რომლის მეშვეობითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და მიეცემათ სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების საბუთების გაცემის უფლება;

ვ) დაადგინონ სწავლის საფასურის ოდენობა და შეტანის ვადები.

6. არასახელმწიფო საერო სასწავლებლები ვალდებული არიან:

ა) გაიარონ ატესტაცია ლიცენზიის მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) გაიღონ სასწავლებლის ატესტაციისა და აკრედიტაციისთვის საჭირო საექსპერტო მომსახურების სახსრები არსებული წესის მიხედვით;

გ) ყოველწლიურად, მისაღები გამოცდების დაწყებამდე არა უგვიანეს ერთი თვისა, წარადგინონ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროში ცნობები დადგენილი ფორმით, რომელთა საფუძველზეც მიეცემათ უფლება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოაქვეყნონ განცხადებები სასწავლებლებში მიღების შესახებ.

7. არასახელმწიფო საერო სასწავლებლები, მათი თანამშრომლები და მოსწავლეები (სტუდენტები) სარგებლობენ სახელმწიფო სასწავლებლებისათვის კანონით დადგენილი ყველა შეღავათით.
8. არასახელმწიფო საერო სასწავლებლებს ეკრძალებათ დამატებითი ლიცენზირების გარეშე ფილიალებისა და სხვა სასწავლო ქვეგანაყოფების შექმნა სასწავლებლების ფარგლებს გარეთ.
9. არასახელმწიფო საერო სასწავლებლების ურთიერთობა ჩარიცხულ კონტინგენტთან განისაზღვრება სასწავლებლის წესდებითა და დადებული ხელშეკრულებით.
10. არასახელმწიფო საერო სასწავლებლები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ საქართველოს რესპუბლიკაში მოქმედი კანონმდებლობისა და ამ დებულების საფუძველზე.
11. არასახელმწიფო საერო სასწავლებლების ლიკვიდაცია ხდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
12. არასახელმწიფო საერო სასწავლებლების ატესტაციასა და აკრედიტაციას ახორციელებს სახელმწიფო საატესტაციო და სააკრედიტაციო კომისია, რომლის დებულებასა და შემადგენლობას საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს წარდგენით ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

შეხვედრა თავდაცვის სამინისტროში

6 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროში მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალ-მაიორმა პაატა დათუაშვილმა მიიღო ნიდერლანდის სამეფოს ახლად დანიშნული ელჩი საქართველოში ბარონი გიდერტ ვილემ დე ვოს ვან სტინვიკი. საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესოდ წარიმართა. გენერალმა დათუაშვილმა სტუმარს გააცნო საქართველოს დღევანდელი სამხედრო-პოლიტიკური ვითარება, შეეხო აფხაზეთის კონფლიქტს და მისი მოგვარების გზებს. ბარონი სტინვიკი განსაკუთრებით დააინტერესა თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის აზრმა კონფლიქტის ზონაში გაეროს სამშვიდობო ძალების განლაგების პერსპექტივის შესახებ. ბატონი ელჩის თხოვნითვე მინისტრის მოადგილე მას ესაუბრა ქართული არმიის აღმშენებლობის პროცესსა და ნატოსთან თანამშრომლობის აქტუალურ საკითხებზე.

შეხვედრამ გულთბილ და საქმიან ვითარებაში ჩაიარა.

თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური — საქინფორმი.

საქართველოს პარლამენტში

...ლტოლვილებს კი მშობლიური კერა ენატრებათ!

...ვილას ახლოვს მინისტრთა კაბინეტი. ორი დღეა პარლამენტი ქართველთა და აფხაზთა მხარეების მოსკოვში ხელმოწერილ დოკუმენტებს — **ოთხმხრივ შეთანხმებას ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა ნებაყოფლობითი დაბრუნების შესახებ, განცხადებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა შესახებ** — განიხილავს. უდაოდ საშური საქმეა, მაგრამ არც მინისტრთა კაბინეტის დამტკიცების ასე უსაშველოდ გაჭიანურება უნდა იყოს ქვეყნისთვის სახეირო. რას ვიზამთ, უფროსიც პარლამენტია და უმცროსიც!...

ხელმოწერილ დოკუმენტებზე მსჯელობისას ურთიერთგაგება თავიდანვე გაიწირა: ჯერ იყო და **ნოდარ ნათაძემ** განაცხადა: არა მგონია ამ საკითხზე უმრავლესობას სალი აზრი ჰქონდესო. რასაც, რა თქმა უნდა, უხმაუროდ არ ჩაუვლია. მერე, იგივე მოსაზრება სხვადასხვა ინტერპრეტაციით რეპლიკების სახით „ისროლეს" სხვებმაც. ერთი სიტყვით, დარბაზი ორივე მხრიდან თავისებურად დაიმუხტა. ჩანდა, დათმობა არ იქნებოდა.

ბრძოლის ველზე ნაკლები საფრთხე ელის ადამიანის ჯანმრთელობას, ვიდრე ამ დარბაზში, შენიშნა **გია ბარამიძემ** და, მართლაც, სიტყვა, რომელიც ტყვიას სჯობს და გულს უმოწყალოდ კოდავს, აქ არცთუ იშვიათად გაისმოდა. ერთი შეხედვით, თითქოს პროცედურული საკითხები (რომელსაც დოკუმენტის განხილვის დაწყებამდე ოპოზიცია აყენებდა), კულუარებში, ასე თუ ისე, წინა დღეებში ჩამცხრალი სიტუაციისა და ხელისუფლების კრიზისის შექმნის ახალ ბიძგად აღიქმებოდა. ეს თანდათან გაცხადდა კიდეც.

პარლამენტი სახელმწიფოს მეთაურისა და ხელისუფლების დისკრედიტაციის არენად გადაიქცა — თქვა თავის გამოსვლაში **ლანა ღოღობერიძემ**, რადგან იყვნენ პარლამენტარები, რომლებიც ერთგვარი გულმოდგინებით გამოდიოდნენ აფხაზეთის მიწისა და იქიდან დაწიოკებული ხალხის გულმემატკივრებად, ამავე დროს გამოსვლას სახელმწიფოს მეთაურის მიმართ გამოთქმული მწარე, მოუზომავი სიტყვებითა და გაუაზრებელი მოთხოვნებით ამთავრებდნენ. ზოგიერთი პარლამენტარი ამ შეთანხმებას კაპიტულანტურს უწოდებდა, ზოგი — სახელმწიფოებრივი ღალატის ტოლფასს, ზოგიც — ამ ეტაპზე წამგებიანად. ასე განსაჯეთ, ზოგიერთი პოლიტიკოსი ამას სახელმწიფოს მეთაურის შენიღბულ დანაშაულსაც კი ეძახდა!... სხდომაზე იყო მოთხოვნები: სახელმწიფოს მეთაურის პოსტის გაუქმებისა, რიგგარეშე არჩევნების მოწყობისა, ერთპიროვნული მმართველობის პარლამენტური მმართველობით შეცვლისა, სახელმწიფოს მეთაურის ნდობის საკითხის დასმისა და ა. შ.

ერთი სიტყვით, ამ უმნიშვნელოვანესი დოკუმენტების განხილვას ისე „უთავსებდნენ" სახელმწიფოს მეთაურის მიმართ ძველებურ დამოკიდებულებას, ჩვენთვის, როგორც პარლამენტართა მსმენელთა და შემხედვარეთ (და, ალბათ, არა მარტო ჩვენთვის), გაუგებარი იყო: მათი აზრით კონკრეტულად რა გამოასწორებდა საქმეს, რომელი გზა დაგვიბრუნებდა აფხაზეთს — ხელმოწერილი დოკუმენტების მხარდაჭერა და პრაქტიკული საქმის დაწყება, ახალი არჩევნები, ხელისუფლების შეცვლა, ამ დოკუმენტების დეზავუირება, კვლავ შეიარაღებული ბრძოლა, არმიის შექმნა და ძალების მოკრება თუ?!.

თუ ის ჭკუა და გონება, წუთისოფელს აღმართს რომ ახვნევინებს, ულონოს ღონეს აძლევს და კეთილი ნაყოფით გვახარებს? ამათში, უდავოდ, არის გზა ჭეშმარიტი, გამოსავალი, მაგრამ, სადაა ცინცხალი აზრი და გონება, თანხმობა და ერთსულოვნება?..

ბატონმა **რევაზ ჭაფარიძემ** მოუწოდა პარლამენტარებს მხარი დაეჭირათ დოკუმენტებისათვის, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს, პოლიტიკური სტაბილურობა უნდა მოგვიტანოს. სერიოზული მსჯელობის მომხრე იყო **აკაკი ასათიანიც**, რომელსაც კინკლაობაზე მეტად, უმთავრესად, მთელი პასუხისმგებლობით, იმის გაკეთება მიაჩნია, რაც ქვეყანას სჭირდება. აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ზურაბ ერქვანიას** კი, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის **ვახტანგ თორდიასაგან** განსხვავებით, რომელსაც ეს დოკუმენტი აფხაზეთის დამოუკიდებლობის საფუძვლად წარმოუდგენია, სწამს, რომ ეს შეთანხმება კონფლიქტის საბოლოო მოგვარების წინაპირობა არის.

ლტოლვილები უნდა დაბრუნდნენ და ჩემთვის ახლა მთავარი მათი უსაფრთხოებაა. ამის გარანტის შექმნისთანავე მე პირველი ჩავალ აფხაზეთში, ჩემს თავზე გამოვცდი უსაფრთხოებას. ვალდებული ვარ ეს გავაკეთო, რადგან ლტოლვილები ჩემი ამომრჩევლები არიან — თქვა **ადა მარშანიამ**, რომელსაც შეთანხმება წინგადადგმულ ნაბიჯად მიაჩნია.

დოკუმენტს რეალური გამოსავალი უწოდა **ნესტან კირთაძემ**, **ელდარ შენგელაიამ** კი თქვა, ამ დოკუმენტზე უარის თქმა საერთაშორისო ორგანიზაციებზე უარის თქმას ნიშნავს. **ნიკო ჭავჭავაძემ** პარლამენტის ორივე მხარეს მოუწოდა, რომ აუცილებელია საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებებისკენ მისასვლელი გზები უფრო ჰკვიანურად, ადამიანურად ეძიოთო!...

ბოლოს, სიტყვა წარმოთქვა სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც კიდევ ერთხელ ახსნა, რომ ჩვენი ჯარები აფხაზეთში საომრად არ შესულან. ეს იყო ბანდიტებისა და ყაჩაღების წინააღმდეგ ჩაფიქრებული ოპერაცია. მან ქვეყნის უმთავრეს საზრუნავად კვლავ დაასახელა ერთიანი არმიის შექმნა და ლტოლვილების უსაფრთხო დაბრუნება, რომელიც მოხდება მხოლოდ რეალური გარანტიების შექმნის შემდეგ. სახელმწიფოს მეთაურმა პარლამენტარებს უმადურობის გამო უსაყვედურა.—ეს დოკუმენტი მაქსიმუმია იმისა, რისი გაკეთებაც ამ ეტაპზე შეიძლებოდა და იმის მინიმუმია, რაც სამშვიდობო ძალების შემოყვანას სჭირდება. ჯერ კიდევ უდიდესი სამუშაო გვაქვს!..

როცა ატყობთ თქვენი პოზიციები სუსტდება, ნუ გაბოროტდებით, — თქვა ბოლოს ედუარდ შევარდნაძემ და დასძინა: სახელმწიფოს მეთაურის ნდობის საკითხი კი უნდა დადგეს, მაგრამ მხოლოდ მთავრობის ძირითადი ბირთვის ჩამოყალიბების შემდეგ, მე ამის მომხრე ვარ, კიდევ ერთხელ გავარკვიოთ ჩვენი ურთიერთდამოკიდებულების საკითხი...

დღეს პარლამენტი მუშაობას განაგრძობს.

რუსუდან ლორთქიფანიძე,
ფერიდე ბიწაძე,
„სრ" საპარლამენტო კორესპონდენტები.

საქართველოს პარლამენტის პრეს-ცენტრის

განცხადება

საქართველოს პარლამენტმა ზოგიერთი პოლიტიკური პარტიის მოთხოვნით განიხილა მოსკოვში, მიმდინარე წლის 4 აპრილს ხელმოწერილი განცხადება ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებების შესახებ და ოთხმხრივი შეთანხმება ლტოლვილთა და ადგილნაცვალ პირთა თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში დაბრუნების შესახებ.

პარლამენტში ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლები მოითხოვდნენ ამ დოკუმენტთა დეზავუირებას.

ორდღიანი დებატების შემდეგ, რომლებშიც პარლამენტში წარმოდგენილი ყველა ფრაქცია და პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა და რომლის დროსაც ვრცელი სიტყვით გამოვიდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, ოპოზიციის წარმომადგენლებმა მოხსნეს მათ მიერვე დაყენებული საკითხი ამ დოკუმენტების დეზავუირების შესახებ.

დებატების მონაწილეთა უდიდესმა ნაწილმა აღნიშნა კონფლიქტის ფართომასშტაბიანი გზით მოწესრიგების საქმეში ამ დოკუმენტების დადებითი მნიშვნელობა, აღნიშნა აგრეთვე ამ ეტაპზე რუსეთის საშუამავლო მისიის დადებითი როლი და მნიშვნელობა და გამოხატა მადლიერება გაეროსა და მისი უშიშროების საბჭოს მიმართ; განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენიეს აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკურ მოწესრიგებაში მეგობრობის ინსტიტუტის სახით ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის და გერმანიის წარმომადგენელთა პოზიცია. აღინიშნა მოლაპარაკებათა პროცესის წარმართვაში ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირის დადებითი როლი.

გამომსვლელებმა ხაზი გაუსვეს აფხაზი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის ტრადიციათა აღდგენისა და გაგრძელების აუცილებლობას და მოუწოდეს ყველას საქართველოში მცხოვრები ყველა ერის მიმართ ქართველთათვის ისტორიული ტოლერანტობის შენარჩუნებისაკენ.

რეგიონები

როცა ქალაქში მთავარი საწარმოები გაჩერებულია

ქალაქის მერს რომ ვეტყვით ქალაქის თითქმის ყველა ძირითადი საწარმო გაჩერებულია, ნორმალურ სიტუაციაში ნორმალურ ადამიანს შეკითხვა — კარგია ეს თუ ცუდი? — არ უნდა დაგებადოს. თუმცაღა კაცმა რომ თქვას, ჩვენში ამ ბოლო წლებში დამკვიდრებულ სიტუაციაში, რომელსაც ჩვეულებრივისა და ნორმალურის გარდა ყველაფერი შეიძლება უწოდო (მაგალითად, ირონიულად — საინტერესო, მოდურად — პარადოქსული, მწვავედ — კრიტიკული, რეალისტურად — სავალალო და სატირალი), ყველა ჯურის კითხვა შეიძლება არა მარტო გაჩნდეს, პასუხიც მოითხოვოს. გასაკვირი რაღა რჩება იქ, სადაც ყველაზე აბსურდული სინტაგმაც კი — „ლოგიკური პარადოქსი" (საავტორო უფლებაზე პრეტენზია გვაქვს) არსებობის უფლებას მოიპოვებს. და მაინც, ზემოთ ნახსენები კითხვა ჩვენ არ მოგვსვლია აზრად. შემდეგ, სხვადასხვა საკითხზე საუბრისას, ქალაქ რუსთავის მერმა სოსო არეშიძემ თავად დასვა იგი.

შეკითხვა რიტორიკული რომ არ იყო, ვიგრძენით — პასუხი ჰქონდა, მაგრამ არა ლოგიკური— „ეს ცუდია". აბა, კარგი რა უნდა იყოს საწარმოების გაჩერებაში, რომელთა ამოქმედება მარტო ერთ ქალაქს კი არა, რამდენიმე დღეში მთელს რესპუბლიკას დაეტყობოდა. მაგრამ ეს ასე რომ იყოს, შეკითხვა არ დაისმებოდა.

ასეთ შემთხვევებში კითხვაზე თავად ავტორი უპასუხებს ხოლმე. ასეც მოხდა.

— ვისთვის როგორ... —თქვა მან — მე, მაგალითად, ვფიქრობ, რომ ჯობს საწარმო გაჩერებული იყოს, ვიდრე მისი შემოსავალი იქ არ მიდიოდეს, სადაც უნდა მიდიოდეს და ისე არ გამოიყენებოდეს, როგორც წესი და რიგია.

კი, ბატონო, მესმის, რომ მაფიის პრობლემა მეტ-ნაკლებად სხვა ქვეყნებსაც აწუხებს, მაგრამ რაღაც საზღვრები და ფარგლები ყველგან არსებობს. მაფიასაც თავისი კანონები აქვს. ჯერ ერთი, ის ყაჩაღობა არ არის, ასე რომ იყოს, სხვა სახელიც არ ერქმებოდა. მაგრამ აქ ვინ რას დაგიდევთ, ვის რისი და ვისი ერიდება! ყველაფერი იშოვეს, ახლა ძალაუფლებაც მოუნდათ. რატომაც არა!

ხალხის ქომაგის როლშიც რომ გამოდიან ხოლმე! ერთხელ პურის ქარხანაზე კურატორობა იკისრეს. ვინ ჰკითხავთ? ვინ ავალებთ?

ადრე რაიკომის მდივანი თავის ახლობელს, მეზობარს თავისთან სამსახურს რომ შესთავაზებდა, ის ახლობელი სიხარულით ჭერს ცას ეწეოდა, მერე — ბედს, ახლა მერი ან გამგებელი გვერდით დამიდექიო, რომ გთხოვს, მისი დიდი ხათრი უნდა გქონდეს, უარი რომ არ უთხრა.

ადამიანს, უბრალო მშრომელ კაცს პოლიტიკა არ უნდა, არ აინტერესებს. მას ადამიანური ცხოვრება სწადია და როცა ეს არა აქვს, თავის უბედურებათა სათავედ ქალაქისა თუ რაიონის პირველ კაცს ხედავს, მოკლედ და კონკრეტულად „შუქი გაქვთ?", „წყალი გაქვთ?", „არ გშიათ და არ გცივათ ხომ?" — როგორ არა ჰგავს ახლანდელი რეგიონული პირველი კაცების ოჯახებში ანონიმი დამრეკების პრეტენზიები (თუმცა მაშინ, — ალბათ, არც რეკავდნენ) უწინდელისას, ფსიქოლოგია კია უცვლელი — ყველა პრობლემის მოგვარებას მხოლოდ მისგან მოითხოვენ — პირველისაგან.

რეგიონული მართვა — დღევანდელი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა. როგორც ჩვენი ცხოვრების სხვა უბნები, აქაც მოუწესრიგებლობა, დაბნეულობა.

— დამოუკიდებლობა ნამდვილად გვაქვს, — ამბობს მერი, — ზემოდან არც გვეხმარებიან, არც გვაწუხებენ. ერთი სიტყვით, შენს საქმეში არ ერევიან.

ისევ ჩნდება შეკითხვა, ამჯერად ჩვენგან: „კარგია ეს თუ ცუდი" და ისევ პასუხი: „ვისთვის —როგორ"... ცოტა ხნის შემდეგ, როცა იტყვის, ძველად რაიკომის მდივნად ვერ ვიმუშავებდი, ვერ ვივარგებდიო, დაახლოებით ვხვდებით პასუხის შინაარსს, ამ კონკრეტულ შემთხვევაში: — „ეს ცუდი არ არის, საკუთარი თავის იმედად ყოფნა უნდა ვისწავლოთ ბოლოს და ბოლოს". და თუ საუბრის დასაწყისსაც გავიხსენებთ, აზრი, ერთი აუცილებელი პირობით შემცველი, ლოგიკურად ასე გაგრძელდება: „ოღონდაც უპირველესად მართლწესრიგი უნდა დამკვიდრდეს".

პირობა უცილობელია, უდავოდ, თუმცა, რასაკვირველია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვა ამგვარი პირობა არ არსებობს. საკადრო პოლიტიკაზე ვსაუბრობთ. ჩვენი მოსაუბრე ხაზს უსვამს პიროვნებების, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელი კადრების სწორად შერჩევის მნიშვნელობას. უდავოა, როგორც უდავოა ისიც, რომ ბევრ სფეროში სულ სხვა მოთხოვნებს აყენებს რეალობა, კითხვებსაც აჩენს: — „როდემდე ვიყოლიოთ დანიშნული ხელმძღვანელობით?", „სად არის მესაკუთრის ინსტიტუტი?" ჩვენ ხომ შეთანხმებული ვართ — უკან დაბრუნება აღარ გვინდა. რაც დავანგრიეთ, ისევ იმის აშენებას ხომ აღარ ვცდილობთ. მაშ რაღად ვანგრევდით?! სწრაფად იცვლება ცხოვრება თავისი რეალობებით, პარადიგმებით და ყოველი დაყოვნებული ნაბიჯი მწარედ გვირტყამს ყველაზე მტკივნეულ წერტილებში.

პრივატიზაციის პროცესი ნელა, მაგრამ მაინც მიმდინარეობს. შედარებით წვრილი ობიექტები — სავაჭრო თუ საყოფაცხოვრებო წერტილები, კერძო მფლობელთა ხელში იქცევა, უფრო რთულად არის საქმე მსხვილ საწარმოებში. მძიმედ დაიწყო სააქციო საზოგადოებების ჩამოყალიბების პროცესი. ამჟამად მხოლოდ 6 სააქციო საზოგადოებაა რეგისტრირებული, ხთზე მომზადებულია შესაბამისი დოკუმენტაცია.

მცირე პრივატიზაციის განხორციელებას სერიოზულად აფერხებს სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გამიჯვნის გაჭიანურების საკითხი, რის მიზეზიც მუნიციპალური საკუთრების შესახებ კანონის მიუღებლობაა. ამჟამად პრაქტიკულად მიმდინარეობს სავაჭრო ობიექტების და სატრანსპორტო საშუალებების პრივატიზაცია, რომლებიც აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს მუნიციპალურ საკუთრებას.

სააქციო საზოგადოების მიმართაც არის პრეტენზიები: საწარმოთა ხელმძღვანელები უარყოფით პოზიციას გამოხატავენ პრივატიზაციის რესპუბლიკური პროგრამით გათვალისწინებული შრომითი კოლექტივისათვის უსასყიდლოდ და შეღავათიან ფასებში გადასაცემი აქციების ოდენობის მიმართ, რომელიც შესაბამისად 4-5 და 10 პროცენტს შეადგენს. ქალაქის მერიის კაბინეტისა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს კოლეგიის ერთობლივ თათბირზე გამოიკვეთა აზრი, რომ შრომით კოლექტივს უსასყიდლოდ უნდა გადაეცეს აქციების არანაკლებ 20 პროცენტისა, ხოლო იქ, სადაც სახელმწიფო არ იტოვებს აქციების პაკეტს, კოლექტივს მიეცეს მთლიანობაში 51 პროცენტამდე აქციების შეღავათიანი პირობებით შესყიდვის უფლება, რაც, ჩვენი აზრით, უფრო სამართლიანი იქნება. საწარმოს კოლექტივები ისედაც იჩაგრებიან. ერთ მაგალითს მოვიტან: მთავრობის გადაწყვეტილებით შარშან წარმოებულ პროდუქციაზე შემოღებულ იქნა მისი მოხმარების კვოტებიც, რომლის თანახმად საწარმოს მიერ გამოშვებული პროდუქციის 75 პროცენტის კვოტა ეძლეოდა სახელმწიფოს, 10 პროცენტი რჩება ადგილობრივ მმართველობას, მხოლოდ 15 პროცენტი — საწარ-

(დასასრული მე-4 გვ.)

მერვე სვეტი

პაველ გრაჩოვი მაღალ შეფასებას აძლევს

თბილისი. რადიოსადგურ „მაიაკისთვის" მიცემულ ინტერვიუში, რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, გენერალმა პაველ გრაჩოვმა მაღალი შეფასება მისცა ქართულ-აფხაზური დოკუმენტის ხელმოწერის ფაქტს და აღნიშნა, რომ ამაში დიდი როლი მიუძღვით რუსი სამხედროების სამშვიდობო ფუნქციას. პაველ გრაჩოვმა წუხილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა სომხეთ-აზერბაიჯანის მოლაპარაკებებზე რეალური შეთანხმების მიღწევა.

საფრანგეთიც დაინტერესდა

პარიზი. „იბერიის" საკუთარი კორესპონდენტი პარიზიდან გვაცნობებს, რომ გუშინ საფრანგეთის ერთ-ერთი გაზეთი სააგენტო „ფრანს-პრესის" ინფორმაციაზე დაყრდნობით იტყობინება, რომ განახლდა საქართველო-აფხაზეთის მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციისა და გაეროს ეგიდით.

10 აპრილიდან გრაფიკები აღდგება

თბილისი. თბილისის მეტროპოლიტენი და ტელევიზია პირვანდელ მუშაობის გრაფიკს დაუბრუნდებიან 10 აპრილიდან. ამის შესახებ „იბერიის" კორესპონდენტს შეატყობინეს თბილისის ენერგეტიკის დეპარტამენტიდან.

ენერგეტიკოსთა თქმით, ისინი ელოდებიან ელექტროენერგიის მოწოდებას აზერბაიჯანიდან, აგრეთვე ენგურჰესის კასკადის აღდგენითი სამუშაოების დამთავრებას.

ქართული კინოს ფესტივალი სანქტ-პეტერბურგში

5 აპრილს ნევისპირა ქალაქში დაიწყო ქართული კინოს ფესტივალი. როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საბჭოში საქართველოს წარმომადგენელმა ზურაბ ჩიკვილაძემ საქინფორმის კორესპონდენტს აცნობა, ამ მოვლენასთან დაკავშირებით სანქტ-პეტერბურგში ჩავიდა საქართველოს კინემატოგრაფისტთა დელეგაცია კინორეჟისორ რევაზ ჩხეიძის მეთაურობით. კინოფესტივალი თბილისში 9 აპრილს დატრიალებული ტრაგედიის გახსენებას ეძღვნება და მასში წარმოდგენილია ქართველ ახალგაზრდა კინორეჟისორთა ნამუშევრები.

დაზუსტება

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გუშინდელ ნომერში გამოქვეყნდა წერილი — „მთავარი ბრძოლები წინაა", რომლის მეორე აბზაცში დაშვებულია დედნისეული უზუსტობა — „საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ოფიციალური ვიზიტი ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომელიც 11 მარტს დაიწყო..." უნდა იყოს 6 მარტს დაიწყო, ზემდეგ როგორც ტექსტშია.

როცა ქალაქში მთავარი საწარმოები გაჩერებულია

(დასასრული)

მოს. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რა სტიმულით უნდა იმუშაოს ქარხანამ ამ დროს?

კიდევ ერთი საკითხი, რომელზეც არ შემიძლია არ ვთქვა: ეს არის წლევანდელი პირველი კვარტალის ბიუჯეტის საკითხი. მარტო ელექტროენერგიასა და გაზზე დოტაციის სახით გადასახდელი გვაქვს ფასთაშორის სხვაობა შესაბამისად 31 და 35 მილიარდი კუპონი. სხვა ხარჯებს რომ თავი დავანებოთ, ამას უთუოდ დაემატება ჯანმრთელობის, კულტურის, განათლების, კომუნალური სამსახურების თანხები, რაც სულ ცოტა 20 მილიარდი კუპონია. ესე იგი მთლიანად 1 კვარტალის ბიუჯეტი 90 მილიარდ კუპონზე მეტი გამოვიდა, ეს მაშინ, როცა არსებული ნორმატივებიდან გამომდინარე შემოსავლები დაახლოებით 30 მილიარდ კუპონს შეადგენს.

ამგვარი შეუსაბამობა იმან გამოიწვია, რომ საწარმოებს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით შეუმცირდათ მოგებიდან გადასახადები, რაც თავისთავად კარგი საქმეა, თუმცა ეს არ უნდა მომხდარიყო მხოლოდ ქალაქის ხარჯზე. რაღაც პროცენტები მაინც უნდა იყოს დაცული. დამატებითი ღირებულებიდან გადასახადის 90 პროცენტი რესპუბლიკას მიაქვს, ადგილზე მხოლოდ 10 პროცენტი რჩება. ეს გადასახადი მთლიანადაც რომ დარჩეს ქალაქში, რაც არა თუ სასურველი, არამედ აუცილებელიც კია, საქმეს მაინც ვერ უშველის. რადგან ხარჯებს ვერ დავფარავს. ამიტომ ერთი გამოსავალი რჩება — ეს დოტაცია რესპუბლიკამ უნდა იკისროს, სხვაგვარად ფასთა სხვაობების გადახდის საშუალება არ მოგვეცემა.

— კერძო მეწარმეობის განვითარებას როგორი პირი უჩანს ქალაქში?

— ვცდილობთ ყოველნაირად ხელი შევუწყოთ მცირე ბიზნესის განვითარებას. დღეისათვის რუსთავის ტერიტორიაზე რეგისტრირებულია 2.176 მცირე და ერთი პირის საწარმო, დამატებითი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და კოოპერატივი, საიდანაც დღეისათვის მოქმედებს 953, აქედან მრეწველობაში — 117, მშენებლობაში — 101 და კომერციაში — 735.

1993 წელს გამოშვებულია 28 მილიარდი კუპონის მზა პროდუქცია. მოგება 17,2 მილიარდი კუპონი იყო, ხოლო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილია 5,7 მილიარდი კუპონი. შედეგები უკეთესი იქნებოდა, ენერგეტიკული კრიზისი რომ არა. ამის გამო უჭირთ არა მარტო მცირე საწარმოებს და ფირმებს, არამედ მსხვილ სამრეწველო გიგანტებსაც, მათ აუმოქმედებლად კი საშველი არ გვექნება. რუსთავი ხომ ინდუსტრიული ქალაქია, სხვა არანაირი რეზერვი არა გვაქვს. ამ მხრივ, საქმე ადგილიდან ოდნავ დაიძრა — ზოგი საწარმო ამოქმედდა. სხვებიც უნდა ამუშავდეს.

— არის კი ახლო შანსი?

— არის იმედი. ელექტროენერგიას თუ მოგვაწვდიან, წელში გავიმართებით. საწარმოო გაერთიანება „აზოტის" გამართული მუშაობისათვის 80 მეგავატი ელექტროენერგია და 50 ათასი კუბური მეტრი გაზია საჭირო საათში, თანაც მოწოდება სტაბილური უნდა იყოს. ანალოგიური პრობლემაა სხვა საწარმოებშიც, ახლა „აზოტმა" თუ არ იმუშავა, სოფლის მეურნეობის თითქმის მთლიანი დარგი ჩავარდება. პრობლემები ხომ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული და ერთიმეორეს განსაზღვრავს.

— საწარმოებს ამოქმედება გამოსავლად გვესახება, მაგრამ „ვისთვის იმუშავებენ ისინი?" — განა ეს პრობლემა დღის წესრიგიდან მოიხსნა?

— აქაც იმედია. ამ ბოლო ხანებში მთლიანად რესპუბლიკაში აღებული კურსი და ტემპი — შავ სამყაროსთან გამოცხადებული ღია, დაუფარავი ომი სასიკეთო პერსპექტივებს სახავს.

პრობლემები ბევრია. ამასთან, როგორც ჩვენი მოსაუბრე ამბობს, „ყველა პირველი პრობლემაა". საუბარში კი თავისთავად იკვეთება ორი უმთავრესი — ეკონომიკა და მართლწესრიგი. როგორ უნდა გადაწყდეს ისინი — პარალელურად თუ მიმდევრობით? ერთის მხრივ არის დამნაშავე, რომელსაც სოციუმი ქმნის, ადამიანი, რომელსაც ჯერ შესაფერი გარემო უნდა შეუქმნა — პატიოსანი შრომით თავის რჩენის რეალური შანსი მისცე და წესრიგი ამის შემდეგ მოსთხოვო, და მეორე მხრივ: სანამ მართლწესრიგი თავის სიტყვას არ იტყვის, დოვლათის შექმნაზე ფიქრი მხოლოდ უსაგნო ოცნებად რჩება.

— **საიდან** უნდა დავიწყოთ? — კითხვას იმეორებს **ქალაქის პოლიციის შეფი რეზო ბელქანია,** — ჩემი გადასახედიდან თუ ვიტყვი, ეკონომიკით დაწყება უფრო სწორი იქნებოდა.

— ალბათ, მრეწველი იტყვის, ჯერ წესრიგი უნდა დამყარდესო...

— და... ორივე მართლები ვიქნებით. ხუმრობა იქით იყოს, ალბათ, მაინც ჯერ ჩვენ უნდა გავისარჯოთ. დოვლათის შექმნისათვის საჭირო პირობები შევქმნათ, ამასთან ერთად, მისი დაცვის მექანიზმიც, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ დოვლათის დანიშნულების ადგილამდე მიღწევის გარანტია უზრუნველვყოთ.

— თქვენს საქმიანობაში ყველაზე მეტად ვისთან ბრძოლა გიჭირთ?

— შეიარაღებულ ფორმალურ ფორმირებებთან. არაფორმალური შეიარაღებული ფორმირება ქალაქში ფაქტობრივად აღარ არის. დავიჭერთ, მაგალითისათვის, ვინმეს რაიმე დანაშაულზე. შევატყობინებთ მათს ხელმძღვანელობას და გადავცემთ შესაბამისი რეაგირებისათვის. რეაგირება კი ცალსახა იციან — მეორე დღესვე დამნაშავე ქუჩაში დადის. ერთხელ სამხედრო პოლიციის მუშაკები რესტორანში ხულიგნობის გამო დავაკავეთ, იარაღი ავყარეთ და გადავეცით სამხედრო პოლიციის ხელმძღვანელობას. ნახევარ საათში გაუშვეს, იარაღიც დაუბრუნეს. ისინი კიდევ... რა ქნეს თუ იცით? რესტორანში მიბრუნდნენ, შეწყვეტილი ღრეობა გააგრძელეს, საღამო ხანს კი იმ ოპერაციაში მონაწილე ერთი ჩვენი თანამშრომელი დაიჭირეს, მოკლეს და მტკვარს გაატანეს.

ასეთი ფაქტიც იყო: თავდაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ ერთ-ერთ შეიარაღებულ ფორმირებას ავტომატური იარაღი და ორი ხელის ტყვიამფრქვევი მოპარეს. ქურდები დავაკავეთ, რომლებიც იქაურივე ფორმიანი მუშაკები აღმოჩნდნენ. ერთ კვირაში ისინი გაათავისუფლეს.

ამას წინათ ავტომატებით შეიარაღებული ცამეტი კაცი ლითონკონსტრუქციების ქარხნის დამხმარე მეურნეობას დაესხა თავს და ხუთი ძროხა მოიპარა. ბანდიტები ადგილზევე დააკავეს. არ გაინტერესებთ ვინ აღმოჩნდნენ ისინი? — თავდაცვის სამინისტროს პირველი საარმიო კორპუსის რუსთავის სადაზვერვო-სადესანტო ბატალიონის წევრები...

— ძლერს! ვერაფერს იტყვი... როგორც ჩანს, ჯერ კარგად დაზვერეს იერიშმისატანი ობიექტი, მერე დესანტიც გადასხეს და ოპერაცია განახორციელეს. ბოლოს ჩაიშალათ „ოპერაცია".

— ორ დღეში გარეთ იყვნენ, თუმცა მომხდარი ფაქტის შემდეგ ზემოთხსენებული კორპუსი გაუქმდა. ასე თუ ისე, ყველანი ვხედავთ — ზემოდან სასიკეთო სიომ დაჰბერა. პროცესი დაწყებულია. ჩვენ ვეღარაფერი შეგვაკავებს. „შავების" დრო საათებს ითვლის. მერე არ იკითხავთ, როგორი აღჭურვილობა აქვთ — ჩვენ არც კი დაგვესიზმრება ისეთი. ერთმანეთთან რადიოთი უკავშირდებიან. იარაღი, ბენზინი მათთვის პრობლემა არ არის. ჩვენ კი, როცა ერთდროულად ორი დანაშაული ხდება, ძლივს გადავწყვეტთ ხოლმე, რომელი უფრო მნიშვნელოვანია, რომ იქით წავიდეთ. ორივეგან წასვლის საშუალება არა გვაქვს. ყველაფერი პრობლემაა ჩვენთვის, ფორმაც კი — მუშაკებისათვის. ამის მიუხედავად, დადებით შედეგებს მივაღწიეთ. თუმცა, კმაყოფილი რომ ვიყოთ, იქამდე ჯერ კიდევ შორს არის. საზოგადოების მხარდაჭერაც გვჭირდება, რომელიც ნელ-ნელა, მაგრამ მაინც მჯერა, რომ გვიბრუნდება. ასე რომ, უკან დასახევი არა ვართ. წესრიგი უნდა დავამყაროთ. ხალხს გაჭირვება არ ეყოფა, რომ შიშის ზარიც არ [illegible]?

პოლიციის შეფის განწყობა შესაშური.

პოლიცია იწყებს და, ალბათ, იგებს.

საიდან უნდა დავიწყოთ? — **ქალაქის მერის პირველი მოადგილის, ეკონომიკის დარგის კურატორის მალხაზ გვაზავასათვის** კითხვას ერთმნიშვნელოვანი პასუხი აქვს: — საიდან და წესრიგის დამყარებიდან. უამისოდ ყველაფერზე ლაპარაკი ამაოა. ეკონომიკა მხოლოდ წესრიგის პირობებში გაიმართება წელში. ფეხზე დამდგარი ეკონომიკა და მისი სწორად წარმართვა — პრივატიზაცია აქციონერებით, მიწების დარიგება — აი ყოველივე ამან უნდა შექმნას პირობები იმისათვის, რომ დაიწყოს განვითარება. საბიუჯეტო ორგანიზაციებში უნდა დაიწყოს გეგმით გათვალისწინებული ცვლილებები. აი, ასეთ პირობებში მდგომარეობა შესამჩნევად გამოსწორდება. ჩვენი ქალაქის დიდი პოტენციური შესაძლებლობები ოპტიმიზმისათვის რეალურ საფუძველს გვაძლევს.

ადამიანები რომ ავამოქმედოთ, საამისო მექანიზმი გვჭირდება, რის შექმნისათვის ნაკლებად ვფიქრობთ. ამ ბოლო წლებში დავანგრიეთ ძალიან ბევრი რამ, მაგრამ დავანგრიეთ არა ის, რაც პირველ რიგში უნდა დაგვენგრია—სოციალისტური აზროვნების წესი, მენტალიტეტი. მოგვიწევს ჩვენი აზროვნების, შეხედულებების მთლიანად [illegible]. მარტივად ასეთი მაგალითი ავიღოთ: [illegible] დავსვათ: რამდენი პედაგოგი ან, ვთქვათ, ექიმი გვჭირდება? — არა იმდენი, რამდენიც გვყავს. ყველას დასაქმება სპეციალობით არ მოხერხდება, თავის სპეციალობით მხოლოდ საუკეთესონი იმუშავებენ. შერჩევა ობიექტურად და მკაცრად უნდა მოხდეს. მესმის, რომ ეს მკაცრი პოლიტიკაა, შეიძლება სასტიკიც, მაგრამ ეს ერთადერთი გზაა. ჩვენი აზროვნება პრაგმატული უნდა გახდეს. დაინტერესების პრინციპმა უნდა იმუშაოს. პროფესიონალიზმს მხოლოდ ეს გზა უზრუნველყოფს. მომავალი საზოგადოება კი სხვაგვარად არ აშენდება.

როცა ქალაქის მერი ამბობს, რომ ქალაქის თითქმის ყველა საწარმო გაჩერებულია, ეს ძალაუნებურად უიმედოდ განგაწყობს, მაგრამ როცა იმავე ქალაქის პოლიციის შეფი ამბობს, რომ მას ოპტიმიზმისათვის რეალური საფუძველი აქვს, ეს უკვე იმედს გვიღვივებს. აქ უთუოდ დევს პასუხისმგებლობის ის წილი, რომელსაც უიმედობის ყრუ კედლის გასარღვევად აკისრებს პასუხისმგებელ მუშაკებს მკაცრი დღევანდელობა.

მერის სიტყვები, რომ ქალაქში საქმე მკვდარი წერტილიდან უკვე დაიძრა, რომ გაჩნდა მომუშავე საწარმოები, ამ სიტყვების საქმიანი დასტურია.

გალინა ხარებაშვილი,
ირინე ჩომახიძე.

პროექტი

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის შესახებ

თავი 1, ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის ცნება და ამოცანები

კერძო დეტექტიურ და დაცვით საქმიანობას ფიზიკური და იურიდიული პირები ახორციელებენ დამკვეთის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით.

კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის წარმოების უფლებას იძლევა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო (ვარიანტი მე-2, იუსტიციის სამინისტრო) ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე წინამდებარე კანონით დადგენილი წესით გაცემული სპეციალური ნებართვა (ლიცენზია).

კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის ამოცანებია საქართველოს რესპუბლიკაში პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების, საკუთრების, კანონით დაცული სხვა უფლებების, აგრეთვე იურიდიული პირების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა დანაშაულებრივი და სხვა საზოგადოებრივად საშიში ხელყოფისაგან.

იმ პირებზე, რომლებიც ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებენ კერძო დეტექტიურ და დაცვით საქმიანობას, არ ვრცელდება ის სპეციალური სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები, რომლებიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილია სამართალდაცვის სახელმწიფო ორგანოების თანამშრომლებისათვის.

მუხლი 2. კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

საქართველოს რესპუბლიკაში კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კონსტიტუცია, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, ეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის კანონები და სხვა სამართლებრივი აქტები.

მუხლი 3. კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის პრინციპები

კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობისა და ჰუმანიზმის პრინციპებს.

კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის განხორციელებისას შესაბამისი უფლებამოსილებაა: ფიზიკური ან იურიდიული პირი მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, ასაკის, განათლების, ენისა და სარწმუნოების, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების მიუხედავად.

მუხლი 4. საჯაროობა კერძო დეტექტიურ და დაცვით საქმიანობაში

ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს კერძო დეტექტიურ და დაცვით საქმიანობას, ვალდებულია არ გაახმაუროს ის ცნობები, რომლებიც წარმოადგენენ კლიენტის კომერციულ ან პირად საიდუმლოებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 5. ურთიერთობები სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებთან

კერძო დეტექტივების, კერძო დეტექტიური და დაცვითი ორგანიზაციების ურთიერთობა სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებთან ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 6. კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის სახეები

კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობა ხორციელდება ძიებისა და დაცვის მიზნით.

ძიების მიზნით ნებადართულია კლიენტებისათვის შემდეგი სახის მომსახურების გაწევა:

1) ხელშეკრულების საფუძველზე დამკვეთთათვის სასურველი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის შეგროვება;
2) მოპოვებული ინფორმაციისა და დოკუმენტური მასალის ანალიზი და სათანადო კონსულტაციების ჩატარება;
3) პროცესის მონაწილეთა დაკვეთით სამოქალაქო სამართლის საქმეზე ცნობების შეგროვება;
4) საქმიანი მოლაპარაკების გასამართავად საჭირო ინფორმაციის შეგროვება, პარტნიორის საიმედოობის შემოწმება;
5) სამეწარმეო საქმიანობაში საფირმო ნიშნისა და სახელწოდების არამართლზომიერი გამოყენების ფაქტებისა და გარემოებების დადგენა;
6) დამკვეთის მიერ კომერციულ საიდუმლოებად მიჩნეული ან სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა, მისი გახმაურების ფაქტების დადგენა და გამომწვევი მიზეზების აღკვეთა;
7) შრომითი და სხვა ხელშეკრულების დადებისას ცალკეულ მოქალაქეთა (მათი წერილობითი თანხმობით) ბიოგრაფიული და სხვა მონაცემების დადგენა;
8) ფიზიკური და იურიდიული პირების დაძებნა და მათი ადგილსამყოფელის დადგენა;
9) დაკარგული ქონების ძებნა;
10) არაკეთილსინდისიერი კრედიტორის, კლიენტის ურჩი გადამხდელის ძებნა და მათი ადგილმდებარეობის დადგენა;
11) მიმოწერის, სატელეფონო საუბრების, სატელეგრაფო შეტყობინებების საიდუმლოებათა დარღვევის, აგრეთვე პიროვნებისა და მისი საცხოვრებელი ხელშეუხებლობის გარანტიათა დამცავ ღონისძიებათა შემუშავება. მაყურადებელ, სათვალთვალო და სხვა სპეციალურ მოწყობილობათა აღმოჩენა;
12) პროცესის მონაწილესთან ხელშეკრულების საფუძველზე სისხლის სამართლის საქმეზე ცნობებისა და საგნების მოპოვება; აღნიშნული ხელშეკრულების კლიენტთან გაფორმებისთანავე კერძო დეტექტივი ან კერძო დეტექტიური ორგანიზაცია ვალდებულია წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ იმ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს (მოსამართლეს) ვის წარმოებაშიც არის სისხლის სამართლის საქმე.

დაცვის მიზნით კერძო დეტექტივი ან კერძო დეტექტიური ორგანიზაცია ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამოსილია კლიენტს გაუწიოს შემდეგი სახის მომსახურება:

1) დანაშაულებრივი და სხვა კანონსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან პიროვნების სიცოცხლის, ჯანმრთელობის, პატივისა და ღირსების, საკუთრების დაცვა;
2) მესაკუთრის ქონების დაცვა და მათ შორის ტრანსპორტირებისას;
3) დაცვითი და ხანძარსაწინააღმდეგო სიგნალიზაციის საშუალებათა დაპროექტება, მონტაჟი და საექსპლუატაციო მომსახურება;
4) მასობრივი ხასიათის ღონისძიებების განხორციელებისას საზოგადოებრივი წესრიგის, პიროვნების უსაფრთხოების დაცვა.

კერძო დეტექტივი ან კერძო დეტექტიური ორგანიზაცია სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე უფლებამოსილია დახმარება გაუწიოს სახელმწიფო, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებს მართლწესრიგის დაცვის უზრუნველყოფაში.

ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომლებსაც არა აქვთ კერძო დეტექტივის ან კერძო დეტექტიური ორგანიზაციის ნებართვა, ეკრძალებათ ამ მუხლში ჩამოთვლილი მომსახურების გაწევა.

თავი 2, კერძო დეტექტივი, კერძო დეტექტიური ორგანიზაცია (საწარმო)

მუხლი 7. კერძო დეტექტივი

— კერძო დეტექტივი შეიძლება იყოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე, რომელსაც კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის უფლება, ან მუშაობს კერძო დეტექტიურ ორგანიზაციაში და ახორციელებს ამ კანონის მე-6 მუხლში ჩამოთვლილ მომსახურებას.

კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობისას კერძო დეტექტივს ეკრძალება თავისი საქმიანობა შეუთავსოს ანალოგიური პროფილის სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებში ანაზღაურებად სამუშაოს. კერძო დეტექტივისათვის აუცილებელი პირობაა ნასამართლეობის უქონლობა იმ მუხლით, რომელიც შეურაცხყოფას აყენებს ადამიანის ღირსებას და იურიდიული განათლება.

მუხლი 8. კერძო დეტექტიური ორგანიზაცია (საწარმო)

კერძო დეტექტიური ორგანიზაცია არის სამეწარმეო საქმიანობის საფუძვლების შესახებ კანონით განსაზღვრული იურიდიული პირი, რომელსაც მიღებული აქვს სათანადო ნებართვა ამ კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 9. კერძო დეტექტივის უფლებები

კერძო დეტექტივს, კერძო დეტექტიურ და დაცვითი საწარმოების თანამშრომელს უფლება აქვს:

— გამოკითხოს მოქალაქეები და თანამდებობის პირები მათი თანხმობის საფუძველზე;
— შეკრიბოს ცნობები;
— შეისწავლოს საგნები და დოკუმენტები;
— დაათვალიეროს შენობა-ნაგებობები და სხვა ობიექტები;
— დაკვეთის შესრულების მიზნით, თვალთვალი აწარმოოს საჭირო ინფორმაციის მისაღებად;
— დააკავოს დანაშაულის ჩამდენი პირი, მისი სამართალდამცავი ორგანოებისათვის აუცილებელი გადაცემით;
— განახორციელოს ვიდეო და აუდიო ჩაწერა, კინო და ფოტო გადაღება, გამოიყენოს ტექნიკური და სხვა ისეთი საშუალებები, რომლებიც საფრთხეს არ უქმნიან ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან გარემოს. გამოიყენოს ოპერატიული რადიო და სატელეფონო კავშირები;
— განახორციელოს მესაკუთრეთა ქონების შეიარაღებული დაცვა;
— განახორციელოს მოქალაქეთა ფიზიკური დაცვა;
— პირადი და ცალკეულ პირთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის, ამ კანონით განსაზღვრული საქმიანობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, ატაროს და აუცილებლობის შემთხვევაში გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი, ინდივიდუალური თავდაცვისა და ფიზიკური იძულების სხვა სპეციალური საშუალებები, რომელთა შეძენის, აღრიცხვის, შენახვისა და ტარების წესს განსაზღვრავს საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი საკანონმდებლო დოკუმენტი.
— საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ნებართვით კერძო დეტექტიურ საწარმოებს უფლება აქვთ შექმნან საკუთარი და სხვა საწარმოთა კადრების მოსამზადებელი სპეციალური სკოლები;
— კერძო დეტექტიურ საწარმოებს უფლება აქვთ ჰქონდეთ საკუთარი ტანსაცმლის ფორმა, ორგანიზაციის დასახელებითა და საფირმო ემბლემის მითითებით;
— კერძო დეტექტიურ საწარმოებს უფლება აქვთ დაცვითი საქმიანობის დროს, უშუალო ფიზიკური შეცვლის ფუნქციების შესასრულებლად საწარმოში მიიღონ მოქალაქენი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე;
— კერძო დეტექტიურ საწარმოებს უფლება აქვთ გახსნან თავიანთი ფილიალები საქართველოს რესპუბლიკის სხვა რეგიონებშიც;
— კერძო დეტექტიურ საწარმოებს უფლება აქვთ შექმნან ასოციაციები, გაერთიანებები თავიანთი დამოუკიდებლობისა და იურიდიული პირის უფლების შენარჩუნებით;

მუხლი 9. კერძო დეტექტივის მოვალეობები

კერძო დეტექტივი ვალდებულია:

— სისხლის სამართლის საქმეებზე დამკვეთთან ხელშეკრულების დადებიდან სამი დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს მომკვლევ პირს, გამომძიებელს, პროკურორს ან სასამართლოს, ვის წარმოებაშიც არის სისხლის სამართლის საქმე;
— დანაშაულებრივი ქმედების ჩამდენი პირის დაკავებისას, გადასცეს იგი შინაგან საქმეთა ორგანოებს;
— მოქალაქეებთან და თანამდებობის პირებთან ამ კანონით გათვალისწინებული საქმიანობის დროს კერძო დეტექტივად წარდგენისას, აჩვენოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (მოწმობა). პირადობის მოწმობაში უნდა იყოს: ფოტოსურათი, გვარი, სახელი, მამის სახელი; ორგანიზაციის დასახელება; (თუ კერძო დეტექტივი მუშაობს საწარმოში); თანამდებობა, ლიცენზია, ნომერი, გაცემის თარიღი და მოქმედების ვადა. პირადობის მოწმობა დადასტურებული უნდა იყოს საწარმოს ბეჭდითა და ხელმძღვანელის ხელმოწერით;
— ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ პროკურორს აცნობოს;
— სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოებს შეატყობინოს მისთვის ცნობილი ფაქტები ჩადენილი დანაშაულის, ან იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც მზადდება;
— დაიცვას დამკვეთთან დადებული ხელშეკრულების კონფიდენციალობა;
— შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები;
— უზრუნველყოს მოქალაქის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა;

მუხლი 10. შეზღუდვები კერძო დეტექტივის საქმიანობის სფეროში

კერძო დეტექტივს ეკრძალება:

1. დაუმალოს სამართალდამცავ ორგანოებს მისთვის ცნობილი ფაქტები ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის, ან იმ დანაშაულის შესახებ, რომელიც მზადდება;
2. წარადგინოს თავისი თავი სახელმწიფო სამართალდამცავ ორგანოს თანამშრომლად.
3. ჩაიდინოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შემლახავი მოქმედებანი;
4. ჩაიდინოს ისეთი ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ქონებას, შეურაცხყოფს მის პატივსა და ღირსებას;
5. განზრახ გააყალბოს კერძო ძიების მასალები ან შეცდომაში შეიყვანოს დამკვეთი;
6. გამოიყენოს შეკრებილი ინფორმაცია თავისი დამკვეთის საზიანოდ ან მესამე პირის ინტერესებისათვის;

— თავისი ლიცენზია სხვას გადასცეს;
— თავისი საქმიანობისას გამოიყენოს სახელმწიფოს სამართალდამცავი ორგანოების, შეიარაღებული ძალებისა და სხვა სახელმწიფო უწყებათა ტანსაცმლის ფორმები და ემბლემატიკა.

თავი 3, კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის ლიცენზირების წესი

მუხლი 11. ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე ლიცენზიის გაცემა

საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე კერძო დეტექტიურ საქმიანობაზე ნებართვას (ლიცენზიას) გასცემს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო (მეორე ვარიანტით — იუსტიციის სამინისტრო) ფიზიკურ პირებზე — 5, ხოლო იურიდიულ პირებზე — 7 წლის ვადით, განცხადების მიღებიდან 1 თვის განმავლობაში. ლიცენზიაზე სახელმწიფო მოსაკრებლის გადახდის წესსა და ოდენობას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტრო.

მუხლი 12. ლიცენზიის გაცემის საფუძვლები

ფიზიკური პირებისათვის კერძო დეტექტიურ საქმიანობაზე ლიცენზიის მიღების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი სახის დოკუმენტები;

ა) განცხადება ლიცენზიის მიღების შესახებ;
ბ) ანკეტა. ავტობიოგრაფია;
გ) 4 ფოტოსურათი 3X4;
დ) ცნობები ნარკოლოგიური და ფსიქონევროლოგიური დისპანსერიდან;
დ) ცნობები ნარკოლოგიური და ფსიქონევროლოგიური დისპანსერიდან;
ე) მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთი;
ვ) იურიდიული განათლების, ოპერატიულ, ანდა საგამოძიებო სამსახურებში მუშაობის სულ ცოტა 3 წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები;

კერძო საწარმოებისათვის ლიცენზიის მიღების საფუძველს წარმოადგენს შემდეგი სახის დოკუმენტები;

— დამფუძნებელთა ან ხელმძღვანელთა განცხადება ლიცენზიის მიღების შესახებ;
— საწარმოს რეგისტრაციის დოკუმენტები;
— ხელმძღვანელთა ანკეტები, ავტობიოგრაფიები;
— ფოტოსურათები;
— ცნობები ხელმძღვანელთათვის ნარკოლოგიური და ფსიქონევროლოგიური დისპანსერიდან;
— მოქალაქეობის დამადასტურებელი საბუთები;
— ხელმძღვანელთა უმაღლესი იურიდიული განათლების, საგამოძიებო ანდა ოპერატიულ სამსახურებში მუშაობის სულ ცოტა 3 წლის სტაჟის დამადასტურებელი დოკუმენტები;
— დამფუძნებელი დოკუმენტები;
— შესაბამისი მმართველობის ადგილობრივი ორგანოს გადაწყვეტილება საწარმოს რეგისტრაციის შესახებ;

მუხლი 13. ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის საფუძვლები

ფიზიკურ პირებს ლიცენზია არ მიეცემათ შემდეგ შემთხვევებში:

1. მოქალაქეებს, რომლებსაც არ შესრულებიათ 18 წელიწადი;
2. მოქალაქეებს, რომლებიც ფსიქიკური დაავადების, ნარკომანიის და ალკოჰოლიზმის გამო იმყოფებიან აღრიცხვაზე ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში;
3. ნასამართლობის მქონე პირებს;
4. მოქალაქეებს, რომლებსაც წარდგენილი აქვთ ბრალდება დანაშაულის ჩადენის გამო, კანონით დადგენილი წესით მათი ბრალეულობის საკითხის გადაწყვეტამდე.
5. სამართალდაცვითი ორგანოებიდან მაკომპრომეტირებელი საფუძვლით დათხოვნილი პირები;

მოქალაქეებს, რომლებსაც არ წარუდგენიათ მე-13 მუხლის პირველ ნაწილში ჩამოთვლილი დოკუმენტები;

იურიდიულ პირებს ლიცენზია არ მიეცემათ, თუ:

— საწარმო არ არის რეგისტრირებული მმართველობის ადგილობრივ ორგანოში;
— საწარმოებს, რომელთა ხელმძღვანელებს არ წარუდგენიათ ამ კანონის მე-13 მუხლის მეორე ნაწილში ჩამოთვლილი დოკუმენტები, ან წარადგინეს გაყალბებული დოკუმენტები;
— საწარმოებს, რომელთა ხელმძღვანელებზეც ვრცელდება ამ კანონის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის ა. ბ. გ. დ. პუნქტების შეზღუდვები.

ლიცენზიის გაცემაზე უარის შემთხვევაში შინაგან საქმეთა სამინისტრო ვალდებულია ამის თაობაზე წერილობით აცნობოს განმცხადებელს უარის მოტივის მითითებით. გადაწყვეტილება უარის შესახებ ან განცხადების განხილვის ვადის დარღვევა შეიძლება სასამართლოში გასაჩივრდეს.

მუხლი 14. კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის ლიცენზიის ვადის გაგრძელება და გაუქმება

კერძო დეტექტივებმა, კერძო დეტექტიურმა საწარმოებმა ლიცენზიის ვადის გასვლამდე, ერთი თვით ადრე უნდა წარადგინონ განცხადება ლიცენზიის გაგრძელების თაობაზე. ლიცენზია შეიძლება გაგრძელდეს 7 წლის ვადით. შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლება აქვს გააუქმოს იგი შემდეგ შემთხვევებში;

— კერძო დეტექტივმა, საწარმომ დაარღვია ან არ შეასრულა ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, რომლებიც წარმოადგენენ კერძო დეტექტივების, საწარმოების საქმიანობის სამართლებრივ საფუძველს
— არ შეასრულა საგადასახადო და სხვა ფინანსური ვალდებულებები; საგადასახადო ორგანოების წარდგინებით;

ლიცენზიის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე იუსტიციის სამინისტრო ვალდებულია 1 თვით ადრე წერილობით გააფრთხილოს მისი მფლობელი გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კერძო დეტექტივს წარდგენილი აქვს ბრალდება დანაშაულის ჩადენაში. გაფრთხილებაში ზუსტად უნდა იყოს მითითებული, სახელდობრ რომელი სამსახურებრივი ნორმები და წესებია დარღვეული ან არასათანადოდ შესრულებული, აგრეთვე განსაზღვრული უნდა იყოს დაშვებულ დარღვევათა გამოსწორების ვადა.

კერძო დეტექტიური საქმიანობის ლიცენზიის გაუქმება ხდება აგრეთვე ამ საქმიანობაზე კერძო დეტექტივის უარის თქმის შემთხვევაში და კერძო დეტექტიური საწარმოს თვითლიკვიდაციისას.

ლიცენზიის გაუქმება წარმოადგენს კერძო დეტექტიური საქმიანობის შეწყვეტის საფუძველს. მისი გასაჩივრება შეიძლება სასამართლოში.

ლიცენზიის კანონების გაუქმების შემთხვევაში მისი განმეორებით მიღება შეიძლება ლიცენზიის გაუქმებიდან 2 წლის შემდეგ.

თავი 4, კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობისას ცეცხლსასროლი იარაღის, სპეციალური და ფიზიკური იძულების საშუალებების გამოყენება

მუხლი 15. ცეცხლსასროლი იარაღის სპეციალური და ფიზიკური იძულების საშუალებათა გამოყენების პირობები

კერძო დეტექტიური საქმიანობის განხორციელებისას ნებადართულია ცეცხლსასროლი იარაღის, სპეციალური, ტექნიკური და ფიზიკური იძულების საშუალებების გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ კანონითა და ლიცენზიით მინიჭებული უფლებების ფარგლებში.

კერძო დეტექტივი, კერძო დეტექტიური საწარმოს თანამშრომელი ცეცხლსასროლი იარაღის, სპეციალური, ტექნიკური და ფიზიკური იძულების საშუალებების გამოყენებისას ვალდებულია:

— გააფრთხილოს მათი გამოყენების შესახებ და მისცეს აუცილებელი დრო მისი მოთხოვნის შესასრულებლად, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დროის დაკარგვა საფრთხეს უქმნის მის ან ირგვლივ მყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან მოსალოდნელია სხვა მძიმე შედეგები;
— ისწრაფოდეს, რომ საშიშროებათა ლიკვიდაციისას მიყენებული ზარალი იყოს მინიმალური, სამართალდარღვევის ხასიათისა, საშიშროების ხარისხიდან, სამართალდამრღვევი პიროვნებისა და მის მიერ გაწეული წინააღმდეგობის ძალიდან გამომდინარე;
— უზრუნველყოს დაჭრილ პირთა პირველადი დახმარება და დაუყოვნებლივ შეატყობინოს მომხდარი ფაქტის შესახებ ჯანმრთელობის დაცვისა და შინაგან საქმეთა ორგანოებს;
— დაუყოვნებლივ შეატყობინოს პროკურორს სიკვდილისა და სხეულის დაზიანების ფაქტების შესახებ;
— კერძო დეტექტივის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის, სპეციალური, ტექნიკური და ფიზიკური იძულების საშუალებათა გამოყენება, აუცილებელი მოგერიებისა და უკიდურესი აუცილებლობის უფლებამოსილებათა გადამეტებით, კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას და ლიცენზიის გაუქმებას.
— კერძო დეტექტივთა კუთვნილი ცეცხლსასროლი იარაღის რეგისტრაცია და შენახვა ხდება ადგილობრივ საპოლიციო ორგანოებში.

მუხლი 16. სპეციალური და ფიზიკური იძულების საშუალებათა გამოყენება

კერძო დეტექტიურ საქმიანობაზე ვრცელდება სპეციალური და ფიზიკური იძულების საშუალებების გამოყენების წესები, რომლებიც დადგენილია საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის შესახებ კანონით და სხვა ნორმატიული აქტებით.

კერძო დეტექტივებსა და მცველებს უფლება აქვთ გამოიყენონ სპეციალური და ფიზიკური იძულების საშუალებები შემდეგ შემთხვევებში:

— ისეთი თავდასხმის მოსაგერიებლად, რომელიც უშუალოდ ემუქრება მათ ან ირგვლივ მყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;
— მათ მიერ დაცული საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის აღსაკვეთად სამართალდამრღვევის მიერ ფიზიკური წინააღმდეგობის გაწევისას.

დაუშვებელია სპეციალური და ფიზიკური იძულების საშუალებების გამოყენება ფეხმძიმე ქალების, ინვალიდებისა და არასრულწლოვანთა მიმართ, როცა მათი მდგომარეობა თუ ასაკი აშკარაა ან ცნობილია კერძო დეტექტივისათვის ან მცველისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ მათი დაკავების დროს. ისეთ ჯგუფურ ან სხვა თავდასხმას, რომელიც საფრთხეს უქმნის კერძო დეტექტივს, მცველს, ირგვლივ მყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ან მათ მიერ დაცულ საკუთრებას.

მუხლი 17. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება

კერძო დეტექტივებსა და კერძო დეტექტიური საწარმოების მცველებს უფლება აქვთ ცეცხლსასროლი იარაღი გამოიყენონ შემდეგ შემთხვევებში:

— ისეთი თავდასხმის მოსაგერიებლად, როცა უშუალო საფრთხე ექმნება მათ ან ირგვლივ მყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას;
— დაცულ საკუთრებაზე თავდასხმის მოგერიებისას;
— მძევლის გასათავისუფლებლად;
— დამნაშავე პირის დაკავებისას;
— გასაფრთხილებლად იარაღის გამოყენების (ჰაერში გასროლით), აგრეთვე განგაშის სიგნალის მისაცემად ან დასახმარებლად და მოსახმობად;

დაუშვებელია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება ფეხმძიმე ქალების, ინვალიდებისა და არასრულწლოვანთა წინააღმდეგ, როცა მათი მდგომარეობა თუ ასაკი აშკარაა ან ცნობილია კერძო დეტექტივის ან მცველისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ისინი შეიარაღებულ წინააღმდეგობას არ უწევენ დაკავების დროს. ისეთ შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას, რომელიც საფრთხეს უქმნის კერძო დეტექტივს, მცველის ან ირგვლივ მყოფთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ანდა მათ მიერ დაცულ საკუთრებას. აგრეთვე ადამიანთა თავშეყრის დროს, როცა იარაღის გამოყენებით შეიძლება დაზარალდნენ უცხო პირები.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ყველა შემთხვევის შესახებ კერძო დეტექტივმა, მცველმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს შინაგან საქმეთა შესაბამის ორგანოს და პროკურორს.

თავი 5, კერძო დეტექტივთა, კერძო დეტექტიური საწარმოს მცველთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები

მუხლი 18. კერძო დეტექტივებისა და კერძო დეტექტიური საწარმოს მცველების სოციალური და სამართლებრივი დაცვა

კერძო დეტექტიური საქმიანობა ითვლება საერთო შრომით სტაჟში და სტაჟში სახელმწიფო სოციალური დაზღვევის დახმარების დანიშვნისათვის.

მოქალაქეები, რომლებიც ეწევიან კერძო დეტექტიურ საქმიანობას, სამძებრო მოქმედებებისა და დაცვისას დაღუპვის, დასახიჩრების ან ჯანმრთელობის, სხვა დაზიანების მიღების შემთხვევებზე ექვემდებარებიან სავალდებულო დაზღვევას შესაბამისი საწარმოს სახსრების ანგარიშით.

თავი 6, ზედამხედველობა და კონტროლი კერძო დეტექტიურ და დაცვით საქმიანობაზე

მუხლი 19. ზედამხედველობა კერძო დეტექტიურ და დაცვის საქმიანობაზე

კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობისას კანონიერების დაცვის ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის ორგანოები, საფინანსო მოღვაწეობაზე — საფინანსო ორგანოები, სანებართვო სისტემაზე კონტროლს აწესებენ შინაგან საქმეთა ორგანოები.

თავი 7, პასუხისმგებლობა უკანონო კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობისათვის

მუხლი 20. პასუხისმგებლობა უკანონო კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობისათვის

უკანონო კერძო დეტექტიური და დაცვითი ორგანიზაციების (საწარმოების) შექმნა და მასში მოღვაწეობა იწვევს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

კანონპროექტი „კერძო დეტექტიური და დაცვითი საქმიანობის შესახებ" შემუშავებულია პარლამენტის მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისიაში.

გთხოვთ წინადადებები და შენიშვნები გამოგზავნოთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის პრ. № 8, მართლწესრიგისა და კანონიერების დაცვის კომისია.

მწერლის ესეისტური ჩანაწერებიდან

ჯოისის „ულისე" და საქართველო

ბუნება ლექსიკონია და ჩვენ სიტყვებს ვეძებთ მასში, —ამბობს ერთი გენიოსი.

ჯეიმზ ჯოისის მსოფლიო მნიშვნელობის რომანები „ულისე" და „ფინეგანის ქელეხი" ლექსიკონთა ლექსიკონია ნებისმიერი მწერლისათვის და მეც ქართულ სიტყვებს და მოტივებს ვეძებ მასში.

ჰომეროსიდან ჯოისამდე იშვიათად შექმნილა ჯოისის რომანებზე დიდი ქმნილებები.

ჯოისის მოსვლა ლიტერატურაში მე ფილოსოფიაში ნიცშეს მოსვლას მაგონებს რაღაცით: მოხდა ფასეულობათა გაუგონარი გადაფასება.

იშვა ცნობიერების ნაკადი. იშვა ისეთი ახალი მხატვრული ფორმა და სტილი, რომლის მსგავსს არ იცნობდა კაცობრიობა „გილგამეშიდან" „ვეფხის პერანგამდე".

რილკეს სინაზით ველაციცები ჯოისის ყოველ სიტყვას, რომელსაც ძველქართველური, ძველკოლხური სუნთქვა შეაქვს ინგლისურენოვან ლიტერატურაში, კაცობრიობის მხატვრულ სამყაროში.

1. ჰიპერბორეა

ჯოისი „ულისეს" პირველსავე თავში ხმარობს „ტერმინს „ჰიპერბორეელი"", რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს საქართველოსთან. რას ნიშნავს ეს სიტყვა და რა კავშირი აქვს მას ქართულ და ქართველურ მეტყველებასთან?

ქართველურში, კოლხურში ხმარობენ „ქარ-ბორიას". ბორეა ელინურ მითებში „ჩრდილოეთის ქარს" ნიშნავს.

ქართველურ მეტყველებაში, კოლხურში „ბორია" ნიშნავს როგორც ჩრდილოეთის ქარს, ასევე საერთოდ ქარს. მაშასადამე, კოლხურში ბორიას უფრო ფართო სემანტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ბერძნულში.

„ჰიპერბორეელი" კი ბერძნულ მითებში ბორეას („ჩრდილოეთის ქარს") იქით მცხოვრებს ნიშნავდა, ზოგიერთი ინტერპრეტაციით „ჰიპერბორეელი" კავკასიად ან კავკასიის იქითა მხარედ აღიქმებოდა.

ეს თავდაპირველად ქართველური კოლხური სიტყვა ბერძნული მითიდან ისესხა ევროპულმა ფილოსოფიამ და სხვა შინაარსი მისცა, სხვა ფუნქცია დააკისრა.

დიდი ფილოსოფოსი და პოეტი ფრიდრიხ ნიცშე თავის „ანტიქრისტეში" ჰიპერბორეელს უწოდებს „ულტრაჩრდილოელს" („ულტრანორდელს"). ნიცშეს მიხედვით მისი „ზეკაცი" ჰიპერბორეელია.

ჯოისის „ულისეს" პერსონაჟი ბაკ მალიგანი „ჰიპერბორეელს" ხმარობს სწორედ ნიცშეს „ზეკაცის" მნიშვნელობით.

„ანტიქრისტე" ნიცშემ 1895 წელს გამოაქვეყნა.

ჯოისს, რომელმაც უფრო გვიან დაწერა „ულისე", თავისუფლად შეეძლო ნიცშეს ამ ტერმინის აღება და თავის რომანში გამოყენება.

ჯოისის პერსონაჟი ბაკ მალიგანი, ისევე როგორც ნიცშე, ქრისტიანობას ნიჰილისტურად უყურებს, თუმცა ის „ზეკაცი" სულაც არ არის. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა.

მაშ, ასე ქართველური, კოლხური „ბორეა" აღწევს და მკვიდრდება ჯერ ძველ ბერძნულში, შემდეგ გერმანულში, კერძოდ, ნიცშეს ფილოსოფიაში, ინგლისურში, ამ შემთხვევაში ჯოისის ლექსიკაში, XX საუკუნის ერთ-ერთ უდიდეს რომანში —„ულისე".

ძველქართველური სიტყვა „ბორეა" მრავალ სხვა ლიტერატურულ და ფილოსოფიურ თხზულებაში გვხვდება, მაგრამ ამჯერად მსოფლიოს ენათა ლექსიკაში ამ სიტყვის ბედზე მხოლოდ ჯოისის „ულისესა" და მისი პირველწყაროების მიხედვით ვმსჯელობთ.

2. ტალატა! ტალატა! ქსენოფონტეს „ანაბასის" გამოძახილი „ულისეში"

რომან „ულისეს" პირველსავე თავში გვხვდება ქსენოფონტეს „ანაბასისიდან" ერთი რემინისცენცია.

რომანის პერსონაჟი ბაკ მალიგანი სხვა პერსონაჟს სტივენს მარტელოს კოშკში „ანაბასის" ერთი ფრაზით მიმართავს ეგზალტირებულ ტონში: — ტალატა! ტალატა! („ზღვა!" „ზღვა!"). ამ ფრაზას ჯოისის გმირამდე ორი ათას ხუთასი წლით ადრე აღტაცებით წამოიძახებენ შავი ზღვის დანახვისას კოლხეთში სპარსეთიდან სამშობლოში, ელადაში მიმავალი, ათასფათერაკგამოვლილი ბერძენი მეომრები.

მაშასადამე, ჯეიმზ ჯოისი იცნობს ამ ელინურ წყაროს —ქსენოფონტეს „ანაბასისს" და მასში აღწერილ კოლხეთს. არა მხოლოდ იცნობს, მეტად საინტერესოდ იყენებს მას რომანში „ულისე".

ქსენოფონტეს ფრაზას მშობლიური ზღვით მოხიბლული ბაკ მალიგანი წარმოთქვამს. ქსენოფონტეს ბერძნები კი — ამ ფრაზას ევქსინის პონტის — შავი ზღვის დანახვისას წამოიძახებენ ძველი საქართველოს ზღვისპირეთში. იმ ზღვას ბევრ ძველ წყაროში „ლაზეთის ზღვა" ერქვა.

მე, ერთხელ, ირლანდიაში, დუბლინის გარეპირას, მარტელოს, უფრო სწორად ჯოისის კოშკში, ვიდექი სწორედ იქ, სადაც ბაკ მალიგანი წარმოთქვამს ამ ფრაზას და გავყურებდი ზღვას. ჯოისზე, ქსენოფონტესა და ჰომეროსზე ვფიქრობდი. ჩემს წინ ოდნავ ირწეოდა „ღვინისფერი ზღვა". (სად იპოვა ზღვის ეს ფერი ჰომეროსმა?!)

ჯოისი „ულისეში" ქსენოფონტეს ალუზიიდან უცებ გადადის ელჯერნონ სუინბერნის დედისა და ზღვის „თემის ვარიაციაზე": ზღვა — ჩვენი და ყველა დროის ძალუმი, ნაზი დედა. დედა და სატრფო.

ძველი კოლხეთი და ქსენოფონტეს „ანაბასისი" თავის ქვეტექსტს ქმნის „ულისეს" ამ ეპიზოდში.

3. ძველი კოლხური ღმერთი — ოდი და ჰომეროსის ოდისევსი

ჯოისის რომანში ულისე (ოდისევსი) ებრაელია. ჯოისი თავს იმართლებს: მე ვეყრდნობიო ფრანგი მეცნიერის ვიქტორ ბერარის მტკიცებას, თითქოს ოდისევსი ფინიკიელია, სემიტიაო.

მსოფლიო ჰომეროსმცოდნეობა იცნობს ასეთ პრეცედენტებს, როცა ჰომეროსის პერსონაჟს ეროვნებას უცვლიან.

ოდისევსი (ულისე) სინამდვილეში არ იყო სემიტი.

ჩემი აზრით, ჯოისს ბლუმის (ულისეს) ებრაელობა ქრისტესთან მის გასაიგივებლად დასჭირდა, მაგრამ სიტყვა ოდისევსი საოცრად ენათესავება ქართველურ, კოლხურ სიტყვას „ოდი" —ძველკოლხური ნაყოფიერების ღმერთის სახელს. ოდიდან მოდის სიტყვა „ოდიში" — ნაყოფიერების ღმერთის წილხვედრი ქვეყანა. ოდიში იგივე კოლხეთია.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ოდისევსი ჰომეროსის პოემაში კირკეს ტყვეობაში ხვდება, ხოლო კირკე კოლხეთის მეფის აიეტის და არის, ვფიქრობ, რომ ეს დამთხვევა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ძველქართველური ღმერთი ოდი და ჰომეროსის ოდისევსი, ვფიქრობთ, ეტიმოლოგიურ და სემანტიკურ კავშირშია ერთმანეთთან.

ჯოისის მიერ „ულისეს" და სხვა თხზულებებში ოდისევსის არაბერძნად გამოცხადებაც მრავლისმეტყველია.

თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ როგორც ვთქვით, ჯოისს მისი ულისეს (ოდისევსის) ებრაელად გამოცხადება იმისთვის დასჭირდა, რომ მრავალსახოვანი ბლუმის ერთ-ერთი იპოსტასი იესო ქრისტეა.

მაინც საოცარია, რომ ჰომეროსის „ოდისეას" მთავარი გმირის ბერძნული სახელი — ოდისევსი კოლხური წარმართულ ღმერთს „ოდის" უკავშირდება, ხოლო ლათინური სახელდება „ულის" ისევ და ისევ კოლხურად ჟღერს და რამდენიმე მნიშვნელობა აქვს ჭანურ-ლაზურში, ერთი მათგანია — „ული სი", რაც წასვლას და მოგზაურობას უკავშირდება. ოდისეაც სწორედ ეს არის, მოგზაურობის სინონიმია. ულისეს (ოდისევსს) თავისი ეტიმოლოგიური და სემანტიკური მნიშვნელობა გააჩნია ბერძნულსა და ლათინურში, და მაინც, დასაშვებად მიგვაჩნია ჰიპოთეზა, რომ „ოდისევსი" ფარული კოლხიზმი იყოს ძველ ბერძნულში, ხოლო „ულისე" —ლათინურში. სავსებით დასაშვებია, რომ ორივე სიტყვა უფრო მეტ პრეისტორიულ საიდუმლოს ინახავდეს, ვიდრე ეს ცნობილია დღეს მითოლოგიაში, საქართველოს, საბერძნეთისა და რომის ისტორიაში, ჰომეროლოგიასა და ჯოისმცოდნეობაში.

ოდისევსის სახელი იქნებ კოლხური წარმოშობისაა?!

ბუნებაში კითხვა მუდამ მეტია, ვიდრე პასუხი.

4. პრომეთე ჯოისის „ულისეში"

ჰომეროსის აიდი — სულთა სავანეა, ჯოისის აიდი —სხეულთა სავანე, — ამბობს ერთი ამერიკელი ულისელოგი.

ჯოისის ოქსფორდელ, კემბრიჯელ, სორბონელ, ჰარვარდელ, დუბლინელ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ თითქოს ჯოისი „ულისეში" ახსენებს პრომეთეს იმათ შორის, ვინც მეორედ მოსვლის ჟამს დაედებს თავის ღვიძლს ჯოჯოხეთში, თუმცა ჯოისი პრომეთეზე ღიად არაფერს წერს. ეს იმიტომ, რომ ჯოისის პროზა შიფრია.

მეტად ბუნდოვანი კავშირია კავკასიის კლდეზე მიჯაჭვულ, ელინური მითის გმირ ჰეროიკულ ტიტან პრომეთესა და ჯოისის მიერ დეჰეროიზებულ პრომეთეს ლანდზე მინიშნებას შორის, მაგრამ მაინც საგულისხმოა ჯოისის „ულისეს" ეს პასაჟი („აიდი")

ჯოისს თავის რომანში მოჰყავს ნაწყვეტი, ერთი სტრიქონი შელის პოემიდან „ბორკილახსნილი პრომეთე". („სიცოცხლის სიცოცხლეო"...)

ჯეიმზ ჯოისი იცნობს და რომან „ულისეში" იყენებს არა მარტო ბერძნულ მითს კავკასიაში, საქართველოში მიჯაჭვულ პრომეთეზე, არამედ მსოფლიო ლიტერატურაში პრომეთეს შესახებ შექმნილ ნაწარმოებებსაც.

ერთი მათგანია შელის პოემა „ბორკილახსნილი პრომეთე".

„ჯოისის ამ ფსევდოპრომეთეს მე ანდრე ჟიდის „ცუდად მიჯაჭვული პრომეთე" მირჩევნია.

5. აიეტის და — კირკე, ანუ ჯოისის ცირცეა

ჯოისის რომანი მითს ეფუძნება და თავადაც მითის თხზვის იშვიათი ნიმუშია.

ძველბერძნულ მითებში კირკე — კოლხეთის ლეგენდარული მეფის აიეტის დაა, ჯადოქარ მედეას მამიდაა.

ჰომეროსიც („ოდისეაში") და ჯოისიც („ულისეში") კოლხური ოქროს საწმისის მითის მოტივებს ეყრდნობიან, მაგრამ პირველი— უშუალოდ მითს, მეორე (ჯოისი) — იმავე მითს, მაგრამ ჰომეროსის პოემის ასპექტში დანახულს და ჯოისის მიერ „ულისეს" სტილში მოაზრებულს.

ჰომეროსის და ჯოისის მხატვრული სივრცე. ძველკოლხურ, ძველქართველურ სამყაროშიც არის განფენილი.

უნებლიედ მახსენდება გრიგოლ რობაქიძის ფრაზა: ქართული გენია როკვით განფენილი... აქ ქართული გენია სიტყვითაა განფენილი.

კოლხი ქალი კირკე (ცირცე) ჯოისის „ულისეს" ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა, ოღონდ უპირატესად რომანის ქვეტექსტში გაცხადებული.

6. ჯოისი, ჰომეროსი და მითი არგონავტების შესახებ

ჯოისი „ულისეს" მე-10 თავში შორდება ჰომეროსის „ოდისეას" და არგონავტების მითს მისდევს. კერძოდ, ჯოისის თხზულებაში შემოდის აიეტის დის ცირცეას თემა, მაგრამ ამჯერად არა ჰომეროსის, არამედ უშუალოდ ოქროს საწმისის მითის მიხედვით.

რომანის ამ ნაწილში ჯოისი იყენებს არგონავტების მითში ცირცეას მონათხრობს ულისეს ორი გზის შესახებ: ერთი გზა მოხეტიალე კლდეებზე გადის, მეორე — სკილასა და ქარიბდას შორის.

ჯოისი ამ ეპიზოდში დაშორდა ჰომეროსს, მაგრამ არა პრეისტორიულ საქართველოს.

არგონავტების მითის თანახმად ბოსფორთან, შავი ზღვის კარიბჭესთან არის მოხეტიალე კლდეები. მათ შორის გაიარა „არგოს" ხომალდმა. ეს ეპიზოდი თავისებურად აქვს ჯოისს მოაზრებული „ულისეში".

ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ყველა დუბლინელი ჯოისს არგონავტად ჰყავს წარმოდგენილი.

მთავარი მაინც ის არის, რომ ჯოისი ამჯერადაც კვლავ „მარადიულ კოლხურ", „მარადიულ ქართულ" თემებს დასტრიალებს თავს, თვითონაც თხზავს მითს და აზროვნებს პრეისტორიულ საქართველოზე ძველი ბერძნების მიერ შექმნილი მითების პარადიგმებით.

7. კვლავ კირკე, ანუ ცირცეა

ჯოისის სიმფონიასავით შეკრულ რომანის მე-12 თავში („ციკლოპები") კვლავ შემოდის აიეტის დის ცირცეას, ანუ კირკეს თემა, თითქოს დრო და თემა გვშორდება და კვლავ გვიბრუნდება ნიცშესი არ იყოს.

ცირცეას თემა გაიელვებს მე-13 თავშიც — „ნავსიკაია".

(არა მგონია, ნავსი კაი იყოს, მაგრამ „ნავსიკაია" მართლაც კაია!).

ჯოისის რომანის მრავალთემიანობა და მრავალხმიანობა, რაღაცით ქართულ მრავალხმიანობას გვაგონებს, გურულ კრიმანჭულს, რომელიც ჯოისს არასოდეს არ უმღერია, თუმცა ბრწყინვალე მომღერალი იყო.

არა, ჯოისის რომანი უფრო პალემფსისტს ჰგავს: პერგამენტზე ჰომეროსი თითქმის წაშლილია, მაგრამ მაინც იკითხება ჯოისის ქვეტექსტში.

8. ძველი ქართველური „ერებ" ჯოისის „ულისეში"

„ულისეს" მე-12 თავში („ციკლოპები") ჯოისი ხმარობს მითოლოგემას „ერებ", რაც ქართველურში, კოლხურსა და ბერძნულ მეტყველებაში ერთსა და იმავეს ნიშნავს: ქვესკნელში, ჯოჯოხეთის გზაზე ერთ-ერთ ყველაზე ბნელ ადგილს.

„ერებ" — ქვესკნელის წარმართული ღმერთის სახელიცაა კოლხურ წარმართულ პანთეონში.

კოლხეთში დღესაც ამბობენ: „ერებამო"...

საინტერესოა კოლხურიდან შევიდა ბერძნულ მითოლოგიაში ეს სიტყვა, თუ, პირიქით, ბერძნულიდან შემოვიდა კოლხურში?! ჩვენ უფრო პირველი ვარიანტი გვგონია მისაღები. ზღვის ხალხების არაერთი სიტყვა შესულა ბერძნულსა და ლათინურში. ეს უცილობელი ფაქტია. თუნდაც „ხალიბიკოს" რაღა ღირს?!

ბერძნულ მითოლოგიაში ბევრი ღმერთი არაბერძნული წარმოშობის სახელს ატარებს.

ასეა თუ ისე, როგორც ზოგიერთ მკვლევარს ჰგონია, „ულისეს" „ერებ"-ს არაფერი აქვს საერთო სომხურ „ერებუნისთან" და არც ზოგიერთ აფხაზურ ფსევდომეცნიერულ „თეორიებთან" — ის ძველ კოლხურ, ძველ ქართველურ „ერებ"-ს ემთხვევა, მისი ექვივალენტურია.

• • •

მე ვწერ ამ სტრიქონებს, ამ ესეის არა მხოლოდ იმიტომ, რომ ქართველოლოგიის, ჯოისმცოდნეობისა და ულისელოგიის თვალსაზრისით ეს დაკვირვებანი შეიძლება საინტერესო იყოს, არამედ იმიტომაც, რომ დღეს აფხაზი სეპარატისტები, ქართველი ხალხის სხვა მტრები არა მარტო ხმლით, არამედ კალმითაც გვებრძვიან, არ თაკილობენ „ისტორიის მოპარვას", ქართველთა სულიერი ღირებულებების მითვისებას, კოლხეთის ისტორიის საკუთრივ აფხაზეთის („აფსუების") ისტორიად გამოცხადებას, ოქროს საწმისის მითის, ოდისევსის მითის და ჰომეროსის პოემების ქართველური (კოლხური) მოტივების მითვისებას.

ამიტომ მტრების წინააღმდეგ კალმითაც არის საჭირო ბრძოლა.

ლადო ალფენიძე,
მწერალი, იაკობ გოგებაშვილის პრემიის ლაურეატი.
დუბლინი-ლონდონი-თბილისი.

(დასასრული იქნება)

სარედაქციო ფოსტა

გვჭირდება თუ არა დოკუმენტური კინო?

ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს

საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის 1994 წლის 29 მარტის სხდომაზე ქალბატონმა ირინე სარიშვილმა, როცა სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებაზე ლაპარაკობდა, ერთ-ერთ მაგალითად დაასახელა ის, რომ კინოკონცერნ „ქართულ ფილმს" საქართველოში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ბორის ელცინის ვიზიტის გადასაღებად 230 მილიონი კუპონი გამოეყო.

ციფრი — 230 მილიონი კუპონი, მართლაც, იქცევს ყურადღებას, მაგრამ ყველას კარგად მოეხსენება, რა უფსკრულია დღეს კუპონის ციფრობრივ გამოხატულებასა და რეალურ ღირებულებას შორის. და ეს ამბავი პარლამენტის სხდომაზე რომ გამოიტანეს, როგორც რაღაც მამხილებელი საბუთი, კაცმა რომ თქვას, უპატივცემულობაა ქართული დოკუმენტური კინოს მიმართ, რომელსაც, ქართულ მხატვრულ კინოსთან ერთად, მსოფლიო საზოგადოებრიობა იცნობს და აღიარებს. ეს უგულებელყოფაა იმ როლისაც, რომელსაც იგი ასრულებს რესპუბლიკის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, ეკონომიკურ, მეცნიერულ და კულტურულ ცხოვრებაში, და ბოლოს, ეს არის შეუფასებლობა იმ დიდი ღვაწლისა, რაც დოკუმენტურ კინოს მიუძღვის ცოცხალი, პირუთვნელი მატიანის შექმნაში.

დოკუმენტური კინო — ყველასათვის და ყველა დროისათვის საჭირო და აუცილებელი, ამასთან, ყველაზე ტიპიური პუბლიცისტური ჟანრი — სამწუხაროდ, კომერციული თვალსაზრისით, სარფიანი არ არის, ამიტომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განვითარებულია ის თუ განვითარებადი, დამოუკიდებლად ვერ არსებობს. მას ან სახელმწიფო აფინანსებს, ან სპონსორი, ან ორივენი ერთად.

როგორი მდგომარეობაა ჩვენში? გულისტკივილით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ბიზნესმენები დოკუმენტურ კინოს არ სწყალობენ და, თუ სახელმწიფომაც მისგან ხელი დაიბანა, დოკუმენტური კინო მოკვდება, კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი კერა ჩაქრება. ეს იმას მოასწავებს, რომ ახლო მომავალში ჩვენი ქვეყანა უმატიანოდ, უისტორიოდ, დარჩება, (ვიდეოფირის ხანგრძლივი შენახვის ტექნოლოგია ჯერჯერობით არსად არ არის დამუშავებული, მხოლოდ კინოფირი უძლებს დროის მკაცრ გამოცდას).

ჩვენ გვესმის, როგორ უჭირს დღეს სახელმწიფოს, როგორ უჭირს დღეს საქართველოს! ამიტომაც თავს ვალდებულად ვთვლით, მაქსიმალურად შევიზღუდოთ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში, ვიმარხულოთ და ვითმინოთ. მაგრამ აქ ერთი რამ არის გასათვალისწინებელი: ეკონომიკის რომელიმე სფერო, რომელიც ახლა ჩავარდნილია, შეიძლება ორ-სამ წელიწადში განვითარების შესაშურ საფეხურზე ავიდეს, კულტურის ჩაკვდომა კი ყველანაირად აქნობს ერს და მის აღორძინებას საუკუნეებიც არ ყოფნის. მსოფლიოში ამის მრავალი მაგალითია.

იქნებ პარლამენტარის ზემოთხსენებული რეპლიკა ქართული დოკუმენტური კინოს დაფინანსების მიმართ კონკრეტული თემით იყოს გაპირობებული? ჩვენი შემოქმედებითი პროგრამები თითქმის მთლიანად ეროვნულ თემატიკას აქვს დათმობილი. დაგეგმილი გვაქვს გადავიღოთ: ქართულ-ინგლისურენოვანი დოკუმენტური და სარეკლამო-ინფორმაციული ხასიათის ფილმები, რომლებიც მსოფლიოს გააცნობს საქართველოს ისტორიას, კულტურას, ეთნოგრაფიას, ბუნებრივ სიმდიდრეებს, ამ თემატიკიდან მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ: ქალაქ-მუზეუმები — მცხეთა, ვანი, ყვარელი, მატერიალური კულტურის ძეგლები — უჯარმა, ნოქალაქევი, ხერთვისი, უფლისციხე, ნეკრესი, ვარძია, გავაზი, ჭდარი, სვეტიცხოველი, გელათი, ბედია, ილორი, იკორთა, სამთავისი, ნიკორწმინდა... ქართული მწიგნობრობა; ქართული საგალობლები; ხალხური სიმღერები; ხალხური ცეკვები; საქართველოს კურორტები; ქართული ღვინო; ქართული კონიაკი; ქართული სამზარეულო; ქართული მარანი; ოპიზარები — დამიანე; ფიროსმანი; ელენე ახვლედიანი; ლადო გუდიაშვილი... აქვე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ისეთი მძაფრი და აქტუალური თემები, როგორიც არის: „სამაჩაბლოს ცრემლები"; „აფხაზეთი: სისხლიან დღეთა ქრონიკები". ეროვნული ინტერესების ღალატს ვერავინ დაგვწამებს და თუ ზოგჯერ ოფიციალურ, პოლიტიკურ თემებზეც გვიხდება მუშაობა, ამას ჩვენი პროფესიული მოვალეობის ერთგულებით ჩავდივართ, იმ მოვალეობის ერთგულებით, რომლის შესრულებასაც შეეწირნენ აფხაზეთში ჩვენი რეჟისორი გულნარა გოდოლაძე და ოპერატორი ჯუმბერ ეზუგბაია.

დოკუმენტური კინო უპირველესად მოწოდებულია შექმნას ერის, ქვეყნის მართალი ისტორია, მატიანე. ეს ისტორია იქმნება როგორც გულდასახარი, ასევე საწუხარი ამბების, მოვლენების, ფაქტების ასახვის საფუძველზე. დიახ, ფაქტი ფაქტია და თუ იგი თავისი მასშტაბურობითაც იმსახურებს ყურადღებას, აუცილებლად უნდა შევიდეს ისტორიაში. რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ბორის ელცინის ვიზიტი საქართველოში, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ამ ვიზიტის დროს ხელი მოაწერეს ორ დამოუკიდებელ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის განმტკიცების მრავალ ხელშეკრულებას.

ამ მოვლენის გადაღებისათვის ვერც ისინი გაგვამტყუნებენ, ვინც ბატონ ელცინის ვიზიტს დიამეტრულად საწინააღმდეგო, ნეგატიურ შეფასებას აძლევს. თუ ამ პრინციპით იხელმძღვანელებდნენ, ჩვენს დოკუმენტალისტებს არც ისეთი არასასიამოვნო მოვლენები უნდა აღებეჭდათ ფირზე, როგორიც იყო, ვთქვათ, მე-11 არმიის შემოსვლა საქართველოში, ან სამთავრობო ჯარებისა და პრეზიდენტყოფილის მომხრეთა შეიარაღებული ძალებისა და მათ დაქირავებულ ბოევიკთა გამოლაშქრება და ა. შ. მაგრამ ამით ხომ ბევრს დაკარგავდა ჩვენი ისტორია!

ბატონო პარლამენტარებო! იმედი გვაქვს გაგებით მოეკიდებით ქართული დოკუმენტური კინოს წინაშე მდგარ პრობლემებს. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ გათავისებული გვაქვს იმ ქვეყნის გასაჭირი, რომელიც კუპონს კუპონზე აწებებს, რომ თავი გაიტანოს. ჩვენ ბევრს არ მოვითხოვთ, მცირედითაც კმაყოფილი დავრჩებით, ოღონდაც ქართული დოკუმენტური კინო გადარჩეს.

კინოდოკუმენტალისტების დავალებით:

ნიკოლოზ დროზდოვი, თენგიზ მალანია, თენგიზ ნოზაძე, მიხეილ ხალვაშაძე, შერმილ შონია, ლევან ციცაძე, ავთანდილ ხუჭუა...

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება
«კატრექსი»

ს. ს. გ. „კატრექსს" გააჩნია 30 წელზე მეტი ხნის გამოცდილება სხვადასხვა წარმოშობის და ლოკალიზაციის ქრონიკული ანთებითი პროცესების:

გაიმორიტების, გემაროის, გასტრიტების, საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ყელის ანთებების, წყლულოვანი დაავადებების პროსტატიტების, კოლიტების, ფსორიაზის და სხვა დაავადებათა მკურნალობისა.

ამ წლების განმავლობაში დადგენილია, რომ ჩვენი პრეპარატი პრაქტიკულად ავთვისებიანი პროცესების საწინააღმდეგო პროფილაქტიკის ერთადერთი საშუალებაა. ამისათვის საჭიროა ყველა ასაკის მსურველმა წელიწადში ორჯერ ჩაიტაროს მკურნალობის 10-დღიანი კურსი.

იმ შემთხვევაში, როცა ავთვისებიანი პროცესი უკვე მიმდინარეობს, ჩვენი პრეპარატის მეშვეობით შეგვიძლია მივაღწიოთ მკვეთრ გაუმჯობესებას: ჩავაქროთ მეტასტაზური პროცესები, მოვუხსნათ ტკივილები, შევუმციროთ (გაქრობამდე) სიმსივნის მოცულობა, ავუმაღლოთ იმუნური თვისებები, გავუუმჯობესოთ ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა.

ჩვენი პრეპარატები ეფექტური კოსმეტოლოგიური საშუალებებია. ჩვენ გაგვაჩნია დიდი გამოცდილება ორგანიზმის ასაკობრივი დარღვევების მკურნალობისა.

ჩვენს მიერ გამოყენებული პრეპარატები სრულიად უვნებელია.

თქვენ გეძლევათ საშუალება გახდეთ ჩვენი პაციენტი. აქ შეგიძლიათ მიიღოთ კონსულტაციები თვით პრეპარატების ავტორთან – ცნობილ მეცნიერ-ბიოლოგ ბატონ ალექსანდრე გაჩეჩილაძესთან ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს დილის 10 საათიდან 13 საათამდე.

ჩვენი მისამართია: ნუცუბიძის ქ. №127.
ტელ: 39-60-25, 31-99-26, 31-71-93

ყურადღება

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი
აცხადებს

სტუდენტთა რესპუბლიკურ თეორიულ-პრაქტიკულ კონფერენციას სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ საკითხებზე შემდეგ ფაკულტეტებსა და სპეციალობებში:

სამედიცინო ფაკულტეტის სამკურნალო, პედიატრიული და სტომატოლოგიური სპეციალობები.

იურიდიული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის სპეციალობა.

საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტის კვების მრეწველობის, წარმოების ორგანიზაციის, მშენებლობის, ტრანსპორტის, მომსახურების ინჟინერ-ეკონომისტის, საფონდო-სასაქონლო და შრომის ბირჟის, საკურორტო, სამკურნალო და ტურიზმის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის და საფინანსო-საბანკო საქმიანობის მენეჯერის სპეციალობები.

კონფერენცია ჩატარდება მ. წლის 26-27 მაისს, დილის 11 საათზე. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მოხსენების თეზისები წარმოდგენილი უნდა იქნას არა უგვიანეს 20 მაისისა, რექტორატის სამდივნოში.

კონკურსში გამარჯვებული სტუდენტებისათვის ფაკულტეტების მიხედვით დაწესებულია ფულადი პრემიები და ფასიანი საჩუქრები.

კონფერენციის მონაწილეებს გადაეცემათ სათანადო მოწმობები. პრემირებული შრომები გამოქვეყნდება.

უნივერსიტეტის მისამართია:
380079, ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი №25 (ვაკე).
ტელეფონები: 22-21-75, 38-27-20.

რექტორატი

FREEDOM SUPPORT ACT-ის
საასპირანტო სტიპენდია

ამა წლის 7 და 8 აპრილს,
დღის 12 საათზე განათლების სამინისტროში
ჩატარდება საინფორმაციო კონსულტაციები.
მისამართი: უზნაძის 52,
განათლების სამინისტროს თეატრი, II სართული.

იყიდება
რეზინის ჩექმები

გთავაზობთ მოსკოვის
წარმოების უმაღლესი
ხარისხის რეზინის
ჩექმებს.

☎ [illegible]-04; 39-29-14.

პოლემიკა

მეგობრული პასუხი არამეგობრულად მოკამათეებს

გულნატკენმა დავკეცე გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" 16 მარტის ნომერი, რომლის მეექვსე გვერდზე პატივცემულ მწერალთა და მეცნიერთა ერთი ჯგუფის ხელმოწერით ფრიად საგანგაშო სათაურით დასტამბული წერილი წავიკითხე.

რაშია საქმე?

არსებობს აჭარელი მთიელი გლეხკაცის ერთი ძველისძველი ნანატრ-ნაოცნებარი; — შესაძლებელი ყოფილიყო წლის ყოველ დროში გოდერძის ზეკარით მესხეთში გადასვლა. ჩვენებური კაცის ამ სურვილის განხორციელებას მცირე საფუძველი მას შემდეგ გაუჩნდა, რაც მესხეთ-ჯავახეთის დაცარიელებულ სოფლებში აჭარიდან ასობით ოჯახი ჩასახლდა. ხოლო ეს, მე ვიტყოდი, განმაახლებელი ისტორიული პროცესი, უფრო ინტენსიურად მას შემდეგ დაიწყო, რაც 1971 წლის გაზაფხულზე, ქართველ მწერალთა ყრილობაზე შემოქმედ ინტელიგენციას და იქ დამსწრე მაშინდელ ხელისუფლებას, მცირემიწიან მთის აჭარელთა გასაჭირი გადავცანი. მაშინ პირველად ყველას გასაგონად ითქვა, რომ თუ მესხეთში, ხოლო მერე ჯავახეთში აჭარიდან ნამატი მოსახლეობა დამკვიდრებას დაიწყებს, ხელისუფლება განახორციელებს ღონისძიებებს გოდერძის ზეკარის გზატკეცილის ისე მოსაწყობად აჭარა-მესხეთს შორის განუწყვეტელი მიმოსვლა რომ მოხერხებულიყო.

აი, ეს ამბავი გავიხსენე ა. წ. თებერვლის ერთ დღის გამოქვეყნებულ წერილში, რომელიც სულ სხვა თემას მიეძღვნა, მხოლოდ ერთადერთ ფრაზაში გავიხსენე ჩვენებურთა ეს ოცნება, — გოდერძის გვირაბის შესაძლებელ გაყვანაზე.

სხვათა შორის შვიდიოდე წლის წინათ, ხულოში, საზეიმო შეკრებაზე, რომელიც მაშინ ახალციხე-ბათუმის შარაგზის გაფართოება-მოასფალტებას მიეძღვნა და, რომელსაც თბილისიდან გოდერძით გადმოსული საქართველოს იმჟამინდელი ხელმძღვანელები დაესწრნენ ჩემს პატარა მისალმებაში ხულოელთა თხოვნით, გავიმეორე მესხეთ-აჭარის ქედზე გვირაბის გათხრის საჭიროება. მაშინ ხელმძღვანელობა ხალხს შეპირდა ამ საკითხს დადებითად გადავწყვეტთო. დღეს კი ყველანი ვხედავთ, ამნაირი მშენებლობის თავი აღარავის გვაქვს.

სამწუხაროდ, თავის კუთხეში თავისიანებთან მისვლა-მოსვლის შესაძლებლობას მოკლებულებმა (დიდთოვლობის გამო გოდერძის ზეკარი ექვსი თვით მაინც იკეტება), ჩვენებურებმა ახალქალაქის რაიონის სოფლებიდან უკან დაბრუნება დაიწყეს. რა ვქნათ, ვინ მოვიხმაროთ, რომ გოდერძის ზეკარზე გვირაბი რეალობად იქცეს?

როცა საქართველოს დღევანდელი მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ვიზიტების შედეგებს ეცნობი, ჩვენი გლეხის ნატვრის ახდენის იმედი მოგეცემა. ირანს, თურქეთს, ჩინეთს ყაზახისტანს ვთავაზობთ, მოდით სათანადოდ შევთანხმდეთ, გამოიყენეთ საქართველოს სამეურნეო თუ საზღვაო გზები, — მოკლედ ჩვენც ვიხეირებთ და თქვენცო. მაგრამ ყველამ ვიცით, ეს ირანელთა, თურქთა, გინდა ჩინელთა მოზღვავება-დასახლებას რომ არ გამოიწვევს ჩვენს მიწა-წყალზე?

აბა, რა ხდება. რატომ ასე საშინელ კატასტროფათა გამომწვევად მიიჩნევენ ხსენებული წერილის ავტორები ორ ქართულ კუთხეს შუა გვირაბის გაჭრას? განა გოდერძის გვირაბი როკისას შეედრება? ის სხვა სამყაროში გადის, ეს კი — საქართველოდან საქართველოში.

ჯერ ამის გამო არც რაიმე შეთანხმება, არც ლაპარაკი ოფიციალურ დონეზე არავისთან ყოფილა. მხოლოდ ის გავიგე რომ აჭარის ხელმძღვანელს ბატონ ასლან აბაშიძეს ჟურნალისტებთან ერთ-ერთ საუბარში განუცხადებია აჭარა-მესხეთის გზატკეცილით ბათუმიდან ყოველდღიურად სომხეთში ტვირთი გადააქვთ, რაც გარკვეულ მოგებას გვიტოვებსო და თუ სომხეთს მომავალში თავისი მძლავრი დიასპორის დახმარებით შეეძლება გოდერძის გვირაბის გაჭრა, ეს ჩვენთვის მრავალმხრივ სასარგებლო იქნებაო.

ხსენებული საგანგაშო წერილის ავტორები არც მეტი, არც ნაკლები, აცხადებენ, „გოდერძის უღელტეხილის გვირაბი და გზატკეცილი გაანადგურებს გარემოს და განაპირობებს ეკოლოგიურ კატასტროფას. უფრო სავალალო კი ის არის, რომ ამ გვირაბით გზა გაეხსნება და მის გარშემო დასახლდება გრიგორიანული ალმასრულებლობის ხალხი, რომელთა შეჭრა აჭარის მაჰმადიანური მოსახლეობის სამყაროში"... და ა. შ.

ჯერ ერთი, აჭარაში ფეხის დასაბიჯებელი ალაგიც აღარ დარჩა. რომელი აჭარელი, თუნდაც ერთ მოსულს ჩაისახლებს თავის მიწაზე, როცა (თუ გვირაბი იქნა) თავად აპირებს ჯავახეთის მინდვრებზე „შავგორობა" მიწების „მოგოხვას" (ამის გამხელა ჯერ არ მეწადა, მაგრამ მაიძულეს).

მეორეც: გვირაბი, მგონი, პირიქით, ეკოლოგიურად უფრო შეინახავს ჩვენს ალპურ ზონას.

მესამეც — აჭარას, ჩვენ აჭაურები, უბრალოდ ქართულ კუთხეს ვეძახით თქვენ კი „მაჰმადიანური სამყარო" უწოდეთ და ასეთ სამყაროში ე. წ. „გრიგორიანელთა" შემოჭრით ახალი „ყარაბაღი" გვიწინასწარმეტყველეთ. ეს ყველაფერი ძალიან საშიშად ჟღერს, ბატონებო! რა გინდ მწარე რამ გახსოვდეს ისტორიიდან თუ დღევანდელი ტრაგედიებიდან, უფრო სასტიკი რეალობა მოითხოვს: ისტორიულ მეზობელთან საერთო ენის გამონახვა, ახალი, დამოუკიდებელი არსებობის გზაზე შემდგარ საქართველოს სასიცოცხლოდ სჭირდება.

მერე, ძვირფასო მეგობრებო, მე თუ გამიმეტეთ, თავს როგორ ჰკადრეთ ამდენ ჭირგადანახად აჭარაში გაზრდილი ქართველი ინტელიგენტი, გინდაც ერთი, ზოგთათვის მიუღებელი სურვილის გამჟღავნებისთვის, ჯვარს აცვათ. თქვენ წერთ „მწერალთა შორისაც აღმოჩნდა კაცი, ვისი ფიქრის საგანიც არ არის ეროვნული სატკივარი". ეს მარტო ჩემი განადგურების ცდა კი არ გახლავთ, იგი უფრო დიდსა და ფაქიზ რამეს ემუქრება დანგრევით. ღმერთმა ნუ ქნას, ეს მართლა ასე იყოს, მაშინ ხომ წამხდარა ყველაფერი ქართული.

როგორ, მე არა მაქვს უფლება საქართველოს სიყვარულზე, მის ხვალინდელ დღეზე ვიოცნებო? ჩვენებურის დარდის გამხელა „ქვეყნის ღალატის ტოლფასად" ჩამითვალეთ? „ბეცი", „უმეცარი" გამხადეთ.

ტყვიამ რაცა ჰქნა ჩვენში, იგივე თუ სიტყვის ხანჯლებით ჩავიდინეთ, კაი დღე დაადგება დედასაქართველოს. მაშინ მართლაც სხვა მოვა და ჩვენს გვამებზე, ჩვენს ნანგრევებზე არხეინად დაფუძნდება.

თუ დაგვაცალით, აჭარას და მესხეთ-ჯავახეთს ჩვენ კარგად, ქართულად მოვუვლით. მაგრამ ჩვენი სატკივარიც ჭეშმარიტ ეროვნულ სატკივრად უნდა ვიცნოთ ყველგან. საქართველო ვინმეს ხათრით, ან ვინმეს დასანახად კი არ გვიყვარს, საქართველო თვითონ ჩვენ ვართ და ის ჩვენი კუთხე, აჭარა, უსაქართველოდ ვერ იცოცხლებს. არ არის საჭირო ყველაფერზე განგაში ავტეხოთ.

ფრიდონ ხალვაში.
ქ. ბათუმი.

ინფორმაცია

მატარებელი ლიანდაგიდან ამოვარდა

6 აპრილს, 15 საათსა და 45 წუთზე ოზურგეთის რაიონის ოჩხამური-ნატანების სარკინიგზო გადასარბენზე მდინარე ნატანების ხიდზე შესვლის დროს, ლიანდაგებს შორის ჩავარდა სადგურ თბილისიდან ბათუმში მიმავალი სამგზავრო 652 მატარებლის ელმავალი და დაეჯახა ხიდის მოაჯირს, გადაანგრია იგი და მდინარეში ჩავარდა. მას თან გადაჰყვა სამი საფოსტო-საბარგო ვაგონი.

საბედნიეროდ, მსხვერპლი არ არის. სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო გორის შინაგან საქმეთა სამმართველოს სამმა თანამშრომელმა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ენგურჰესში აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს

ამ დღეებში ენგურჰესის საგენერატორო სადგურში მწყობრიდან გამოვიდა რამდენიმე ტექნიკური დანადგარი. ამჟამად აქ აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. ზუგდიდში ვითარება უფრო სტაბილურია. ასეთი ინფორმაცია მიაწოდა საქინფორმის კორესპონდენტს თამაზ როგავას საქართველოს საქენერგოს დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ იური გუგუჩიამ.

„კოკა-კოლა კავკასიონი“ ზუგდიდს ეწვია

ამ დღეებში საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესი სავაჭრო-კომერციული ფირმა „კოკა-კოლა კავკასიონი“ ზუგდიდში დაბა.

[illegible] „კოლა კავკასიონს“ [illegible] კეთილი საქმე [illegible] ჩაფიქრებული სამეგ[illegible]ის რეგიონის აღორძინებისათვის. ფირმამ უკვე [illegible] გაუმართა რამდენიმე დევნილს, დაეხმარა მათ სოციალური და ყოფითი პირობების გაუმჯობესებაში. ფირმას მომავლისათვის გათვალისწინებული აქვს ხელი შეუწყოს რეგიონში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას. სულ მალე ზუგდიდის ცენტრში დაიდგმება პავილიონის ტიპის ობიექტი — „კოკა-კოლა კავკასიონის“ რეგიონულ ცენტრ „კვადროს“ ოფისი.

ფირმებთან ხელშეკრულება გაუქმებულია

ბორჯომის რაიონულმა გამგეობამ, კურორტის მოსახლეობის ხორცით, რძისა და რძის ნაწარმით უზრუნველყოფის მიზნით, მიწის სარეზერვო ფონდიდან 11 ათასი ჰექტარი სავარგული გამოუყო სხვადასხვა ფირმებსა და მეცხოველეობის პროფილის საწარმოებს. გაფორმებული ხელშეკრულებები ორივე მხარისთვის პერსპექტიული იყო.

— ფირმებს „ლასას“, „სპერის“, „წიქარა-93“, „ფორსანისა“ და სხვათა პრეზიდენტებმა სიტყვა გატეხეს. მათ მხოლოდ საკუთარ შემოსავალზე იზრუნეს და ბორჯომის მოსახლეობის მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებით სრულიად „დაივიწყეს“, — აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ბორჯომის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსმა რევაზ ონოფრიშვილმა. — ფირმების საქმიანობისადმი უკონტროლობამ საგრძნობი ზარალი მიაყენა რაიონს. გამგეობის გადაწყვეტილებით ფირმებთან ხელშეკრულებები გაუქმდა და 11 ათასი ჰექტარი სავარგული სოფლის მეურნეობის სამმართველოს განკარგულებაში დაბრუნდა. ამან საშუალება მოგვცა აღვადგინოთ საკვებწარმოებისა და მეცხოველეობის სახელმწიფო მეურნეობები გუჯარეთ-ბაკურიანის ზონაში, რომელსაც გამოცდილი და ენერგიული სპეციალისტი ვახტანგ ბელაშვილი ჩაუდგა სათავეში. სამწუხაროდ, საწვავის დეფიციტისა და უსახსრობის გამო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები არ სრულდება.

რეზო მდინარაძე.

პარალელური მონოლოგები

93-ის 27 სექტემბერი

4. „...ჩემი სიმართლეა აქ!“

„ღლენი მისნი სატანჯველია, საზრუნავი მისი — წუხილი, ღამითაც არ ისვენებს, შფოთავს გული! ესეც, კვლავ ამაოება“.

ეკლესიასტე, 2, 23

გურამ ჯანიაშვილმა, შტაბში რომ მივედი, სარდლობას მოახსენა გადატანილი ბრძოლის თაობაზე, იმაზე, რომ მისი გამოყვანილი ხალხის ნაწილი მინისტრთა საბჭოში შებრუნდა, ჟიული შარტავაც იქ არის და მტრის არტილერია პირდაპირი დამიზნებით ესვრის შენობას.

— არ შეიძლებოდა ჟიული შარტავას გამოყვანა?

— მაშინ უკვე არაფრის გაკეთება აღარ შეიძლებოდა. ადრე, როცა ჩვენ ალყა გავარღვიეთ* და დერეფანი გავაკეთეთ, მის დაცვას აუცილებლად უნდა გამოეყვანა, მტრის პროვოკაციას არ უნდა აჰყოლოდნენ, აუცილებლად უნდა შეემოწმებინათ, ვიღაცას უნდა გაერისკა; თუმცა, იმ მომენტში გასარისკი არაფერი იყო. ბოლოს და ბოლოს, დაცვას ძალით უნდა გამოეყვანა. თქვენ, ალბათ, კითხვა დაგებადათ, ჩვენც ისევე რატომ არ მოვიქეცით?

გიპასუხებთ. ეს, ჯერ ერთი, ჩვენს კომპეტენციას აღემატებოდა — არ გვქონდა ამის უფლება, თვითშემოქმედება კი სრულიად გამორიცხულია. ვთქვათ, ჩვენ თვითონ გვეკისრა ამის გაკეთება, ამ დროს ტყვია რომ მოხვედროდა, ხომ იქნებოდა ჩვენი ბრალი? ბევრი ასეთი ნიუანსია, და ამიტომ არის მკაცრად განსაზღვრული პირადი დაცვის ფუნქციები და სხვათა ჩარევა კატეგორიულად აკრძალულია.

ბატონმა ედუარდმა რომ გაიგო ჟიული შარტავა ალყაშიაო, მანქანაში ჩაჯდა, დაცვა არ მჭირდებაო და მძღოლს სოხუმის ცენტრისკენ წასვლა უბრძანა. თავისთავად ცხადია, მივვარდით ჩვენც და დაცვაც, ვუმტკიცებდით, რომ ასე არ შეიძლება, რომ ეს უეჭველი სიკვდილი იყო. მაგრამ ახლოს არ გაგვიკარა, ძალიან გაბრაზებული იყო და განერვიულებული. კაცს რომ თავი აქვს სასიკვდილოდ გადადებული, ძნელად გააჩერებ.

ამ დროს გადაუდგა გიორგი ქავთარაძე და უთხრა: — თუ საქართველოს დაღუპვა გინდათ, ჩემზე გადაიარეთ, მე აქედან ფეხს არ მოვიცვლიო — დაუშვა ავტომატი და ავტომანქანის რადიატორს აეკრა.

ბატონი გიორგი პირველივე დღიდან „ავლანელებთან“ იბრძოდა, არაფერში ჩამოგვრჩებოდა და გვპატრონობდა, გვივლიდა კიდეც ეს ჭარმაგი კაცი.

— ლაბრაში, ბრძოლის შემდეგ, კარგი მწვადები შეგვიწვა...

— აი, — ის გიორგი ქავთარაძე. მინისტრთა საბჭოდან გამოსვლისას ჩვენთან ერთად იყო. მერე დაგვეკარგა. მაგრამ გვგონია, რომ აუცილებლად ცოცხალია.

ეს სინოპში მოხდა, — **მურად ცხოვრებაძე იხსენებს იმავე ეპიზოდს.** — როგორც კი ბატონმა ედუარდმა გაიგო ჟიული შარტავა მინისტრთა საბჭოში დარჩაო, იქ წასვლა გადაწყვიტა. რა მდგომარეობა შეიქმნა ამ დროს, უკვე ითქვა და დაცვა სოხუმის ცენტრში მის შებრუნებას ვერ დაუშვებდა.

ბატონი ედუარდი მაინც ჩაჯდა მანქანაში. მძღოლს ვუბრძანე გადმოსულიყო, ჩვენებს კატეგორიულად ავუკრძალე მანქანებში ჩასხდომა. ბატონი ედუარდი ისე აღელვებული იყო, რომ მშიშრები და ლაჩრები გვიწოდა.

— ვინც ვაჟკაცები ხართ, წამომყევითო, — მიმართა იქ მყოფთ.

ამ დროს გადაუდგა გიორგი ქავთარაძე მანქანას, სხვებმაც თქვეს, — დავწვებით და გადაგვიარეთო. არ დაეთანხმა ბატონი ედუარდი და ისევ მიმართა მებრძოლებს, — ვინც ვაჟკაცია, წამომყვესო. რამდენიმემ მართლაც მოინდომა მანქანაში ჩაჯდომა. იძულებული გავხდი, ავტომატი შემემართა და განმეცხადებინა, ვინც საჭესთან დაჯდება, ადგილზე დავხვრეტ-მეთქი.

თავისი რომ ვერ გაიტანა, კორპუსის შტაბში შებრუნდა. იქ, ჩანს, მოელაპარაკა ამ დროს მოსულ ჯაბა იოსელიანს, ორივენი ერთად გამოვიდნენ, ბატონ ჯაბას დაცვის უფროსი ჯდება მანქანაში და წითელი ხიდისაკენ წავიდნენ.

ეს ისე მოულოდნელად მოხდა, ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარით, სასწრაფოდ დავედევნეთ.

წითელ ხიდთან მასირებულ ცეცხლში მოვყევით, რამდენიმე მანქანა დაიცხრილა, ყველა დარწმუნდა, რომ გზის გაგრძელება უაზრო სიკვდილი იქნებოდა. ბატონმა ჯაბამაც ასე უთხრა სახელმწიფოს მეთაურს.

— მტერი უკვე გამოსული იყო წითელ ხიდს. არნახულად ძლიერი ცეცხლი გაგვიხსნეს, — ადასტურებს გურამ ჯანიაშვილი.

— ნათქვამს თავი რომ მოვუყაროთ, გამოდის, რომ თქვენ ღიად, მტრის თვალწინ, ყოველდღე სიცოცხლის რისკით დადიოდით და იცოდით ამის შესახებ. რა იყო ეს, სიკვდილთან თამაში?

მურად ცხოვრებაძე: — კი, ასე იყო.

გურამ ჯანიაშვილი: — ამ კაცს ფაქტობრივად გადადებული ჰქონდა თავი. მეტს გეტყვით: ღამის სამ საათზე სანაპიროზე, როცა კარჭაპს ველოდებოდით და სროლა დაიწყო, მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევების მანათობელი ტყვიები, ყუმბარები მის თავზე გადადიოდა, ვერ ჩავიყვანეთ იქვე ამოთხრილ დიდ ბლინდაჟში, სადაც მოგერიების ზღუდე იყო მოწყობილი. იდგა, ადგილიდან არ დაძრულა, თავიც არ დაუხრია. იდგა და ელოდა...

მურად ცხოვრებაძე: — ვგრძნობდით, რომ ცოცხლად დაბრუნება არც უნდოდა. მერე თბილისში, რამდენიმე შეხვედრაზე, მეცნიერებათა აკადემიაშიც ეს თვითონაც დაადასტურა. წარმოიდგინეთ, ჩვენ რაღა მდგომარეობაში ვიყავით, ვისაც მისი დაცვა გვევალებოდა. რომ იტყვიან, ხელჩართული ბრძოლა გვქონდა მასთან — ის თავისას, ჩვენ ჩვენსას ვცდილობდით.

სასტიკი უარი განაცხადა სვანეთის გზით დაბრუნებაზე.

დაზიანებული თვითმფრინავით კატეგორიულად რომ მოითხოვა გაფრენა, ესეც იმის მანიშნებელია, რომ სიცოცხლე არ უნდოდა. ეს ჩემი აზრია.

ის თვითმფრინავი — „ტუ-134“ — სოხუმში დაშვებისას მტერმა სერიოზულად დააზიანა — ერთი ფრთა ტყვიით იყო დაცხრილული და, ცხადია, იქ წვეთი საწვავი არ იყო დარჩენილი. მეორეშიც ცოტა ესხა.

მფრინავები სახლებიდან მოვიყვანეთ, იქაურები იყვნენ. მათ განაცხადეს, რომ თვითმფრინავში ბევრი-ბევრი ათი კაცის ჩაჯდომა შეიძლებოდა და გარანტია ოცი პროცენტი იქნებოდა. ოთხმოცი — ნაღდი დაღუპვა.

ამ დროს განუწყვეტლივ ბომბავდნენ აეროპორტს. ასეთ სიტუაციაში გრძელი გარბენის კი არა, ძრავების ნორმალურად გახურების საშუალებაც არ იყო — თვითმფრინავი უცბად უნდა აფრენილიყო, მტრის არტილერიას მისი დაფიქსირება რომ ვერ მოესწრო და ცეცხლი არ გაეხსნა. მახსოვს, თვითმფრინავში სახელმწიფოს მეთაურის გარდა ჩასხდნენ ბათიაშვილი, ჯორბენაძე, კავსაძე, გაბაშვილი, დაცვის ორი თანამშრომელი, კიდევ რამდენიმე კაცი. დანარჩენები სვანეთზე გადმოვედით, მით უფრო, რომ ჩვენი ხალხის ნაწილი აეროდრომის მისადგომების ბლოკირებისთვის უკვე გვყავდა იქით გაგზავნილი.

— თქვენ, როგორც სახელმწიფოს მეთაურის დაცვის უფროსი, რატომ არ გაჰყევით მას?

— ჯერ ერთი, ნათქვამი მქონდა, რომ ჩვენი ერთი კაციც თუ დარჩებოდა სოხუმში, მეც დავრჩებოდი. მეორეც, იმიტომ, რომ განვუცხადე სახელმწიფოს მეთაურს — თვითმფრინავში ჩემს ასვლას აზრი არ ჰქონდა, ვერ დავიცავდი. თვითმფრინავში ყოფნითაც და დარჩენითაც მე ერთნაირად სიკვდილზე მივდიოდი. მტრის მთავარი დარტყმა ამ დროს აეროპორტისა და მერხეულის გზის გადაკეტვას ისახავდა მიზნად: ჩვენ სწორედ ამ მიმართულებით უნდა წავსულიყავით.

როცა თვითმფრინავი თვალს მიეფარა, მე და ბატონი გურამი ჩვენ ხალხთან ერთად დავიძარით იმ გოლგოთის გზისკენ.

— რამდენ დღეში გადახვედით?

მურად ცხოვრებაძე: — ექვსი დღე მოვუნდით.

გურამ ჯანიაშვილი: — ხუთი დღე არაფერი გვიჭამია.

მურად ცხოვრებაძე: — სურსათი, რაც გვქონდა შემორჩენილი, რაღაც თითო კონსერვი, ისიც მშიერ ბავშვებს დავურიგეთ.

გურამ ჯანიაშვილი: — მშივრები მოვდიოდით. ორი კაცი დაგვივარდა იმ გზაზე, ყველა კი ვერ იტანს შიმშილს. რაღაც ზღვარი ყოფილა, იმ ზღვარს რომ გადავცდით, შიმშილის გრძნობა გაგვიქრა. გაჭირვებულ ხალხს რომ ვხედავდი, საჭმელი კი არა, სხვანაირად ნუ გამიგებთ, სიკვდილი მერჩია, ისეთი თვალებით გვიყურებდნენ — ვერ დაგვიცავითო? საკუთარი თავი მძულდა, უკან რომ მოვდიოდით.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და გთხოვოთ, რომ აუცილებლად დაწეროთ: სიტყვები „მოღალატე“, „გამოქცეულები“, „მიატოვეს“, რომლებიც პარლამენტშიც მესმის, უფრო ხშირად კი იმათგან, ვისაც წარმოდგენაც არა აქვს, რა ხდებოდა იქ, ამ სიტყვების ხმარება, ასეთი „შეფასება“, უწინარეს ყოვლისა, არის იმ დაღუპული ბიჭების სულების შეურაცხყოფა, მერე, — იმ ახალგაზრდების (ჩვენ ჩვენი გავლილია და გვიცხოვრია), რომლებმაც თავგანწირულად იბრძოლეს, მაგრამ რა მათი ბრალია, რომ ცოცხლები დაბრუნდნენ, ყველას თავისი ტყვია აქვს გასაციებელი, მათი ბრალი არ არის ასეთი ტყვია რომ არ ერგოთ. თუ რამ ატყდა, ისევ ამათ კისერზე უნდა გადავიდეს, ცოდვაა, გულში ნუ დავკოდავთ მათ, ისედაც განაწამებ ბიჭებს.

საბურთალოს პანთეონი ბიჭების საფლავებით გაივსო. თუ კი არის რაიმე საშუალება, ომი უნდა ავიცილოთ. ამ საშინელებას ხალხი ვეღარ გადაიტანს.

ჩემს აზრს მოგახსენებთ და არავის ვახვევ თავს: თუ საჭირო იქნება, მე ხვალვე მზადა ვარ დავდგე იქ, სადაც ახალგაზრდობიდან მოყოლებული დღემდე ვიდექი, და, იქნებ ხმამაღალი სიტყვებია, — იქ მოვკვდე, სადაც ჩემს სამშობლოს სჭირდება.

მე კი არა, დაჭრილები, ბრძოლაში ხელი ან ფეხი რომ დაკარგეს, მოითხოვენ ომში წასვლას. ის მებრძოლი სული არ მომკვდარა. დამიჯერეთ...

* * *

გაგრძელება იქნება. აუცილებლად შევხვდებით იმ ორ მებრძოლს, ჩეჩნებმა ტყვეობიდან რომ გამოაპარეს, სხვებსაც, და კიდევ ერთ კაცს, რომელიც ყოველთვის ესწრებოდა ედუარდ შევარდნაძისა და ჟიული შარტავას საუბრებს, მაშინაც კი, როცა სხვებს მათთან შესვლა აკრძალული ჰქონდათ.

არმაზ სანებლიძე.

---

* იობი, 6, 29.

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“, № 52-53-54.

საჭირო, მიტოვებული სამსახური

ოქრო და ძვირფასი ქვები — ბედის ამარა?

ალბათ, სანამ თავად არ დასჭირდება ის ორგანიზაცია, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ თბილისში არსებობს ძვირფასი ქვებისა და ლითონების სასინჯთა ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექცია. თურმე, როგორც შემდგომ შევიტყვე, იგი ფრიად მნიშვნელოვანი ორგანიზაცია ყოფილა. მაგრამ, რომ იტყვიან, ღმერთსა და კაცისგან დავიწყებულიო, სწორედ ამ ინსპექციაზე ითქმის. იგი ბარათაშვილის ქუჩაზე, №6 სახლის მეოთხე სართულზე მდებარეობს. უფრო სწორად, შეყუჟულია.. დიდი რკინის კარები კი დაუყენებიათ, მაგრამ, მართლაც რომ სავალალო სანახავია 22 თეთრხალათიანი თანამშრომელი, რომლებიც გამოკეტილი არიან ოთხ ასანთის კოლოფივით პატარა ოთახში. ისინი ყოველდღიურად იღებენ და ემსახურებიან მოსახლეობას. თუ ძვირფასი ლითონის დადამღვა ინდომეთ, საქართველოში მხოლოდ აქ შეგიძლიათ ჩაატაროთ ეს ფრიად საჭირო და მნიშვნელოვანი ოპერაცია. ასე რომ, წარმოიდგინეთ, ყოველდღიურად რამდენი მოქალაქე იყრის აქ თავს...

ინსპექცია ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია და, თურმე, ოდესღაც „კარგადაც“ ცხოვრობდა — ჰქონდა [illegible] ლაბორატორიები, სათავსოები, საიმედოდ დაცული ძვირფასეულობის საწყობები და სხვა. 1970 წლიდან იგი ამ შენობაშია და მას შემდეგ პირობების გაუმჯობესების შესახებ დაპირებებს ბოლო არ უჩანს...

ინსპექციის კომპეტენციაში შედის ძვირფასი ლითონების, ქვების შემოწმება, სინჯის დადგენა, დიაგნოსტიკა, სასამართლო ექსპერტიზა, საიუველირო ქარხნებისა და საიუველირო სალონების ნაწარმის, ბანკებში დაცულ ფასეულობათა და, საერთოდ, ძვირფასი ლითონების სახელმწიფო დამღით დადამღვა, ძვირფას ლითონებზე სამართლებრივ საქმეთა წარმოების კონტროლი. ორგანიზაცია სამეურნეო ანგარიშზეა. მასში ოთხი მთავარი სამსახურია გაერთიანებული — სარევიზიო, საწარმოო, ექსპერტის, ქიმიური ანალიზის ლაბორატორია.

— თითქმის შეუძლებელ პირობებში გვიხდება მუშაობა, — გვითხრა ძვირფასი ქვების ექსპერტმა ქალბატონმა ლუიზა ხარაულმა. — აბა, წარმოიდგინეთ, ამ ოთახში ვდამღავთ მოსახლეობის მიერ მოტანილ ფასეულობებს, აქვე სხედან ინსპექციის უფროსი, მისი მოადგილე, მე, და კიდევ რამდენიმე თანამშრომელი. აქვე წონიან ძვირფას ლითონებს, აქვე, ბნელ და ვიწრო ოთახში, ხარისხს ანიჭებენ ბრილიანტებსა და სხვა ძვირფას ქვებს...

ბნელი და უკაცრიელია შენობის სადარბაზო, არ მუშაობს ლიფტი, შიშის გრძნობა გიპყრობს, როცა ჩაბნელებული კიბეებით ზევით ადიხარ შენი განძეულით. აკი მოუკლავთ კიდეც აქ ახალგაზრდა იუველირი, რომელსაც ექსპერტიზაზე მოჰქონდა ნაწარმი...

ერთი სიტყვით, ეს საჭირო სამსახური ბედის ამარაა მიტოვებული. არადა, მის ფრიად დიდ მნიშვნელობას განსაკუთრებით იგრძნობ, როცა თვითონ დაგჭირდება.

ლამარა გაგუა,
საქინფორმის კორესპონდენტი.

თბილისის „დინამო“ კვლავ ითამაშებს ევროტურნირებში

უეფას ისტორიაში უპრეცედენტო ფაქტი მოხდა — ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის აღმასკომის გადაწყვეტილებით, გამონაკლისის სახით, თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებს გაუნახევრდათ შარშანდელი სკანდალით გამოწვეული დისკვალიფიკაციის ვადა და უფლება მიეცათ 1994-1995 წლების სეზონში დაუბრუნდნენ კონტინენტის პოპულარულ საკლუბო ტურნირებს.

ვიმედოვნებთ, რომ შვეიცარიიდან მოსულ ამ სასიხარულო ცნობას ხანგრძლივი ეიფორია არ მოჰყვება და მწარე გაკვეთილის გათვალისწინებით ჩვენი გუნდი მთელი პასუხისმგებლობით მოემზადება უეფას ნდობის გასამართლებლად.

ნუღარ გავიმეორებთ შეცდომებს!

ქმედება უკუქმედების ტოლია

წინა ხუთშაბათს რესპუბლიკის პარლამენტმა შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე ერთხმოვნად დაამტკიცა პოლიციის გენერალ-ლეიტენანტი შოთა კვირაია. ქვეყნის უმაღლესმა ორგანომ ერთხმოვნად დაგმო და უმკაცრესი შეფასება მისცა თბილისის პოლიციის უფროსის დავით ზეიკიძის მოკვლას.

ამასობაში რესპუბლიკაში მკვეთრად გაუარესდა კრიმინოგენური სიტუაცია.

მკვლელობა რუისის ტყეში

ამ არაკაცებმა, ახლა, ორ აპრილს, შაბათს, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამძებრო სამმართველოს უფროსის მურთაზ ჩიქობავას კაბინეტში რომ სხედან და თავი ვერ აუწევიათ, სული იმწამს მიაყოლეს.

არ ვიცი, რით იმართლებენ თავს, რა პასუხს გასცემენ სინდისს, პირუთვნელ მსაჯულს, თუკი ასეთი რამ აქვთ საერთოდ.

ნუთუ უკანმოუხედავად გაივლიან ბეწვის ხიდზე და გზას არ გადაუღობავთ იმ ოცი წლის სტუდენტის სული, რომელიც მათ დაუნდობლად მოკლეს.

ერთი, ოცდაათი წლის თამაზ წიკლაური გორის რაიონის სოფელ ბობნევში ცხოვრობდა, მეორე, ოცდაექვსი წლის ზურაბ ინდუაშვილი — ქარელის რაიონის სოფელ ურბნისში.

წლეულს, 10 თებერვალს, რამდენიმე თანამზრახველთან ერთად მათ გორის ეკონომიკური ინსტიტუტის სტუდენტი ვახტანგ ქედლიაშვილი მოიტაცეს. და გამოსასყიდ თანხად მშობლებს 150 მილიონი მანეთი მოსთხოვეს.

რომელ მშობელს მოსძულებია შვილი, მაგრამ ამოდენა თანხის გადამხდელი ვინ არის დღეს?!

გადიოდა დრო. ყველა იმედი რომ გადაეწურათ, მხოლოდ მაშინ, თითქმის ერთი თვის შემდეგ, 7 მარტს, მიმართეს ქედლიაშვილებმა პოლიციას, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო. ორი-სამი დღით ადრე, 4 მარტს, ყაჩაღებმა ტყვე ქარელის რაიონის სოფელ რუისის ახლოს, ტყეში წაიყვანეს, მოკლეს და იქვე დამარხეს.

უდროოდ მოკლულის გვამი 1 აპრილს იპოვეს.

...ყოჩაღად და გაბედულად რომ არ ემოქმედა, ვინ იცის, შეიძლება უარესიც დამართოდა თელავის ფირმა „ნაფარეულის“ მძღოლს ლევან ასპანიშვილს.

ის ღამის 23 საათზე საკუთარი ავტომანქანით შინ ბრუნდებოდა. სოფელ ნაფარეულში, თავის სახლთან, იგი ოთხმა უცნობმა გააჩერა, მანქანში ჩაუჯდნენ და გაიტაცეს. ლევანმა როგორღაც მოახერხა ავტომანქანიდან გადმოხტომა და გაქცევა. მაშინ მას ავტომატიდან ესროლეს და ზურგში დაჭრეს...

ისევ „გურული სინდრომის“ შესახებ

კვლავ შემაშფოთებელი ცნობები მოდის გურიიდან. თითქმის ყოველდღიურად ახალ-ახალ უმძიმეს დანაშაულს სჩადიან აქაურები. ქმედება უკუქმედების ტოლია. ამდენად, მათი თავხედობა უფრო უკანასკნელ გაძლიერებას ჰგავს. შინაგან საქმეთა სამინისტრო არ აპირებს კუთხის ალალბედზე მიტოვებას. დაწყებული საქმე ბოლომდე უნდა მივიდეს. ამის დასტურია, წინა კვირას გურია[illegible]ში შინაგან საქმეთა სამინისტროს გამოცდილი პროფესიული მუშაკებისაგან დაკომპლექტებული რაზმების მოვლინება.

29 მარტს, ღამის 22 საათი იყო, ლანჩხუთის პოლიციის სამორიგეოში ტელეფონი რომ აწკრიალდა. წმინდა ნინოს ქუჩაზე წაკო ჭეიშვილის ოჯახი განსაცდელში იყო და შველას ითხოვდა.

ლანჩხუთს ახალი გამოცდილი პოლიციის უფროსი ჰყავს. თუმცა, მოსალოდნელი ხიფათის, უფრო სწორად, ტრაგედიის თავიდან აცილება მაინც არ მოხერხდა.

ოპერჯგუფმა, პოლიციის მაიორ მიხეილ ბარამიძის ხელმძღვანელობით, მიუსწრო ყაჩაღებს, მაგრამ რად გინდათ! მათ სროლა ატეხეს და ავტომატით მოკლეს მიხეილ ბარამიძე, აგრეთვე პოლიციის უფროსი ლეიტენანტი ოლეგ ძაძამია.

მკვლელი, რომელსაც კაცობის ნატამალი მაინც შერჩენია, ასეთი შემთხვევის შემდეგ, უკანმოუხედავად გაიძურწებოდა. ბანდიტებმა კი დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს და მხოლოდ მაშინ აიკრეს გუდა-ნაბადი, როცა ოჯახი პირწმინდად გაძარცვეს...

ერთად უნდა ვებრძოლოთ!

ცოტა სული მოითქვა, მაგრამ კვლავ უჭირს ოზურგეთს.

ლევან მალაზონიას ერთი მეუდროვე ქუჩა შეირჩია, ვინმე პეტრე მარტინოვი „გამოეჭირა“ და დღისით-მზისით, ავტომატის მუქარით, ფულს სძალავდა. მსხვერპლი უძალიანდებოდა, ამიტომაც, გაგულისებულმა ავტომატის ჯერი მიუშვა მარტინოვის სახლს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ოზურგეთის პოლიციის თანამშრომლებმა ყაჩაღი დააკავეს.

დაკავებული არიან 22 წლის მამუკა ურუშაძე და 19 წლის მამუკა ვადაჭკორია. „ორმა მამუკამ“ სოფელ ლიხაურში გალინა მაჭარაშვილის სახლი გაძარცვეს, მათვე ავტომატის მუქარით დიმიტრი ანთელაძეს ფული წაართვეს!

უჯარლელი მეიარაღენი

რესპუბლიკის მასშტაბით გრძელდება მუშაობა ცეცხლსასროლი იარაღის ჩამოსართმევად.

. . .

ამას წინათ, ქარელის პოლიციისა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლები სოფელ ჭიკაანს ესტუმრნენ.

ელგუჯა მანძულაშვილი ადრე გვარდიაში მსახურობდა. ახლა შინ არის, მაგრამ ავტომატისა და ხელყუმბარის ჩაბარება რატომღაც „დავიწყნია“. ცუდი მახსოვრობა აქვს ყოფილ სამხედრო პოლიციელს გიგა თურქაძესაც. მას საერთოდ „არ ახსოვდა“, რა სამხედრო აღჭურვილობის პატრონი იყო: ყუმბარმტყორცნი ორი საბრძოლო ვაზნითა და ერთი ამფეთქებლით, 11 ხელყუმბარა, ტყვიამფრქვევის სამი ლენტი 188 ვაზნით და კარაბინის ლულა.

ხვთანდილ ღვალაძეს არც გვარდიაში ემსახურია და არც სამხედრო პოლიციაში, ამიტომ, ვერც იმას გეტყვით, საიდან მოიტანა ორი ჯავშანჟილეტი, ერთი ხელყუმბარა, ტყვიამფრქვევის, დამბაჩისა და ავტომატის ათობით ვაზნა.

ლევან ავეტისოვი და გავაზელი რევაზ ალადაშვილი „ღარიბები“ გამოდგნენ, ერთს ორი ხელყუმბარა ჰქონდა, მეორეს — თვითნაკეთი დამბაჩა ერთი ვაზნით.

აწვიმდა თბილისს...

ტყვია

ეს 20-22 წლის ბიჭები — ზაზა მაკარაშვილი, სოსო გაბაშვილი, ფრიდონ გოგიბერაშვილი და ზაზა ცოფაძე, ღამით, 22 საათზე ნუცუბიძის ფერდობზე უცნობმა ბოროტმოქმედებმა დაცხრილეს. ერთ-ერთი — ზაზა ცოფაძე საავადმყოფოში გარდაიცვალა, სხვები გადარჩნენ, მაგრამ მძიმე მდგომარეობაში არიან.

ასეთი შემთხვევები თბილისში იშვიათი აღარ არის.

ერთი უბნელები მეორე უბნელებთან წაკინკლავდებიან და ურთიერთობას იარაღით არკვევენ.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის ამ სისხლისღვრის მოტივი, არც ის ვიცით, ბიჭებს მტერი თუ ჰყავდათ, დრო მოვა და ყველაფერი გაირკვევა; დასანანი ის არის, რომ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდები კარგავენ ადამიანის სახეს და „თავისუფალ დროს“ ერთმანეთის ხოცვაში ატარებენ.

...45 წლის ქალბატონი ნანული გარაყანიძე, საზოგადოება „ინტერმედსერვისს“ ხელმძღვანელობდა. ჩვენს საწყალ მოქალაქეებთან, ვითომდა საზღვარგარეთ სამუშაოზე მოწყობის მიზნით, აფორმებდა ყალბ ხელშეკრულებებს, ფულს კი ითვისებდა, ზოგს 500 დოლარი დასტყუა, ზოგს 5 ათასი, ზოგსაც 8 ათასი. ასე რომ, სულ ცოტა ხანში გვარიანი თანხა — 70 ათასი ამერიკული დოლარი მოაგროვა. თაღლითი დიდუბელმა პოლიციელებმა დააკავეს.

შანსიან ქალბატონს უკვე მოესწრო 17 კაცის გამწარება და კიდევ რამდენს გაამწარებდა, არავინ იცის.

ზაურ მაკარაძე.

ხსოვნა

კონსტანტინე თარგამაძე

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი კონსტანტინე მიხეილის ძე თარგამაძე.

დაიბადა 1910 წელს. 1934 წელს დაამთავრა ამიერკავკასიის სატყეო-ტექნიკური ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1937 წ. დაინიშნა საქართველოს საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ, 1938 წელს ამავე კომისიის თავმჯდომარედ. 1938-46 წელს იყო საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე. შემდგომში, 1946 წლიდან, სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, 1951 წლიდან კომუნალური მეურნეობის მინისტრი, 1952-1956 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი. 1958 წლიდან 1988 წლამდე უცვლელად ხელმძღვანელობდა ამავე ინსტიტუტის სატყეო მეურნეობის ეკონომიკისა და ტყის ტაქსაციის კათედრას.

პროფესორმა კონსტანტინე თარგამაძემ საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ამჟამად აღიარებულ „სატყეო ეკონომიკურ სკოლას“, აღზარდა სპეციალისტთა და მეცნიერთა მთელი პლეადა. მის კალამს ეკუთვნის 10 მონოგრაფია, 8 ორიგინალური სახელმძღვანელო, 120-ზე მეტი სამეცნიერო სტატია. იყო საქართველოს უმაღლესი საბჭოს I, II და III მოწვევის დეპუტატი. აქვს მთავრობის მრავალი ჯილდო.

პროფესორ კონსტანტინე თარგამაძის ნათელი ხსოვნა სამარადისოდ დარჩება საქართველოს მატიანეში.

საქართველოს განათლების სამინისტრო, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი, საქართველოს სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი, აკად. ვ. გულისაშვილის სახელობის სამთო მეტყევეობის ინსტიტუტი.

საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

დურმიშხან ანდროს ძე თევდორაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ქალაქ თბილისის სატელეფონო ქსელის აბონენტების საყურადღებოდ!

ქალაქ თბილისში ენერგოკრიზისის მიზეზით წლეულს, თებერვალ-მარტში ხანგრძლივად გათიშული იყო რიგი სატელეფონო სადგურები, ოპერატიულ მონაცემებზე დაყრდნობით, ელექტროენერგიის უქონლობას გამო ავტომატური სატელეფონო სადგურების გაცდენის ხანგრძლივობის გათვალისწინებით:

1. განთავისუფლდნენ მთლიანად თებერვლისა და მარტის საააბონენტო გადასახადისაგან ასს — 78 აბონენტები;

2. გაუნახევრდეთ სააბონენტო გადასახადი ქვემოთ ჩამოთვლილ სატელეფონო სადგურების აბონენტებს:

იანვრის — ასს 78,
თებერვლის — ასს 30, 31, 62, 67, 68, 74,
მარტის — ასს 30 62, 67, 68.

შეგახსენებთ, რომ ბინის ძირითადი ტელეფონის საააბონენტო გადასახადი წლევანდელი 1 თებერვლიდან შეადგენს 4500 კუპონს.

აღნიშნული სატელეფონო სადგურების აბონენტებთან, რომლებსაც გადახდილი აქვთ საააბონენტო გადასახადი, მოხდება ანგარიშსწორება და გადახდილი თანხა მომდევნო თვის საააბონენტო გადასახადში ჩაეთვლებათ.

ს/გ „თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის“ ადმინისტრაცია.

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების რედაქტორების საყურადღებოდ!

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ 1994 წლის მეორე ნახევრისათვის ხელმოწერის ჩასატარებლად 20 აპრილამდე წარმოადგინოთ რესპუბლიკურ კატალოგში შესატანი ცვლილებები, წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი გამოცემა არ გავრცელდება ხელმოწერით.

ჩვენი მისამართია: 9 აპრილის ქ. № 2, მე-5 სართული, პრესის გავრცელების რესპუბლიკური ცენტრი.

პრესის გავრცელების რესპუბლიკური ცენტრი.

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

11 აპრილიდან იწყება ინდივიდუალური და საუწყებო ხელმოწერა 1994 წლის მეორე ნახევრისათვის რუსეთისა და თანამეგობრობის ქვეყნების პერიოდულ გამოცემებზე.

ხელმოწერა ჩატარდება მხოლოდ რუსული მანეთებით, 6 თვის ვადით, 1994 წლის 23 მაისამდე.

ხელმოწერის გაფორმება შეგიძლიათ მხოლოდ პრესის გავრცელების საწარმოებში.

საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტრო.

„FEBOSI LTD“ გილოცავთ გაზაფხულის დადგომას და გაუწყებთ, რომ ვაგრძელებთ მსმენელთა მიღებას ინგლისური ენის შემსწავლელ კურსებზე. გიწვევთ ყველას, ვისაც გაგაჩნიათ გარკვეული საფუძველი ინგლისურ ენაში და გაქვთ სურვილი დაეუფლოთ ინგლისურ ენას ამერიკული და ბრიტანული ფრაზეოლოგიით.

თქვენ საშუალება გექნებათ:

— შეიძინოთ და გაიღრმაოთ ცოდნა;
— მიიღოთ მაღალკვალიფიციური მეთოდისტის რჩევები;
— მიიღოთ სპეციალურად ჩვენი კურსისთვის შემუშავებული პროგრამა, სახელმძღვანელო და მეთოდური ლიტერატურა;
— გაეროთ ინგლისური მსოფლიოში ცნობილი სხვადასხვა ეფექტური მეთოდების მიხედვით;
— მოუსმინოთ აუდიო კასეტებს, რომელთაც თან სდევს მაღალი სიხშირის ბგერები „SUBLIMINAL MESSAGE“;
— აირჩიოთ კურსი:
1) კომუნიკაციური ინგლისური;
2) ეკონომიკური პროფილი;
3) TOEFL-ის ტესტების მოსამზადებელი კურსი;
— ისწავლოთ შემდეგი ინტენსივობით: კვირაში ხუთჯერ სამ-სამი აკადემიური საათი;

გახსოვდეთ ჩვენი რეკლამა არგუმენტირებულია გამოცდილებით, შედეგებით და მსმენელთა შორის ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევებით. განაცხადებისა და საბუთების მიღება წარმოებს 10 აპრილამდე, მისამართზე: ქალაქ თბილისი, მაჩაბლის 2, ტელ: 99-65-03
ქალაქი ქუთაისი, რომევიჩის 2, საქართველოს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და გადამზადების რესპუბლიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის შენობაში.

ყოველდღე კვირის გარდა 10-დან 16 საათამდე.

ბანკებისა და ვალუტის გადამცვლელი პუნქტების საყურადღებოდ!

გთავაზობთ ამერიკული დოლარის შესამოწმებელ მიკროპროცესორულ დეტექტორებს: SUPERSCAN — 2100 და CASHSCAM — 1800 ყველაზე დაბალ ფასებში. 1 წლის საგარანტიო მომსახურებით. აგრეთვე ვაწარმოებთ დაზიანებული აპარატების შეკეთებას და რეგულირებას, გაგიწევთ კონსულტაციებს ექსპლოატაციის განმავლობაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის შეგიძლიათ დაგვირეკოთ ტელეფონზე 95-45-94 (10-დან 15 საათამდე).

მთავარი რედაქტორი ზურაბ [illegible]